# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · სამშაბათი, 31 იანვარი 1995 № 4 (142) · ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ


## «დინამომ» რუსეთს მოუგო!

„ესენგეს ჩემპიონთა თასის" ტურნირზე დინამოელებმა ორი მატჩი გამართეს. გუშინ მათ მოლდოვას ჩემპიონი „ზიმბრუ" დაამარცხეს, წინადღით კი უკონკურსოდ მონაწილე რუსეთის ოლიმპიური ნაკრები სძლიეს. დინამოელებმა თავიდანვე შეუტიეს და მეათე წუთისთვის უკვე 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ აქ მათმა ძველმა სენმა იჩინა თავი ჩვენებს, ათიოდ წუთში ისევ თავიდან მოუწიათ საქმის დაწყება და ყაველაშვილისა და ჯამარაულის ზუსტი დარტყმების შემდეგ დინამოელებმა 4:2 მოიგეს. რუსი ჟურნალისტები საგანგებოდ გამოჰყოფენ გოჩა ჯამარაულის ბრწყინვალე თამაშს, თანაც სიხარულით აღნიშნავენ, მოსკოვს ისევ დაუბრუნდა ტექნიკური და შემტევი ფეხბურთიო.

29 იანვარი. რუსეთის ოლიმპიური ნაკრები — „დინამო" (თბილისი) 2:4. დინამო: ზოიძე, ბერაძე, კიკნაძე, დიდავა, ლობჟანიძე, ანჩაბაძე (შ. ხუჯაძე), მაჭავარიანი, ჯამარაული, კორღალიძე (ცქიტიშვილი), ქინქლაძე (იაშვილი), ყაველაშვილი (გოგოლაძე). 0:1 ყაველაშვილი (5), 0:2 ქინქლაძე (9), 1:2 ნეკრასოვი (15), 2:2 კლიუევი (22), 2:3 ყაველაშვილი (40), 2:4 ჯამარაული (60). „ზიმბრუ" (მოლდოვა) — „ელემეი" (ყაზახეთი) 0:0



## მათეუსი თბილისში ვერ ჩამოვა

გერმანიის ნაკრებმა მძიმე დანაკლისი განიცადა: ბილეფელდის „არმინიასთან" ამხანაგურ მატჩში „ბაიერნისა" და ნაკრების კაპიტანმა ლოთარ მათეუსმა აქილევსის მყესი გაიწყვიტა. მათეუსს სასწრაფოდ ოპერაცია გაუკეთეს. ექიმების ვარაუდით, იგი უკეთეს შემთხვევაში ექვსი თვის შემდეგ დაუბრუნდება ფეხბურთს, თუმცა არც იმას გამორიცხავენ, საერთოდ რომ მოუწიოს თამაშისთვის თავის მინებება.

## პოლანდიასაც ვაჯობეთ

### მართალია, უეფამ «ლინფილდთან» ჩვენს ჩემპიონს წაგება ჩაუთვალა, მაგრამ იმ ორ თამაშში აღებული სამი ქულის წყალობით ამ სეზონში უეფას თასზე ჩვენი ჩემპიონატის მეორე პრიზიორიც ითამაშებს

როგორც წინა ნომერში გაუწყეთ, ევროთასებზე საქართველოს წარმომადგენლობა წლეულს ერთბაშად რამდენიმე გუნდით გაიზრდება. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა წინა ოთხშაბათს ჩატარებული პრეს-კონფერენცია საქართველოს ფეხბურ[illegible]ის ფედერაციის გენერალურ მდივან დავით კვინიკაძესთან. მან დამსწრეთ მოახსენა, რომ უეფადან მიღებული წერილის თანხმად საქართველოს ერთი ადგილი [illegible] უეფას თასზე [illegible] ბოლო ხუთი სეზონის შედეგების მიხედვით შედგენილ კოეფიციენტთა ცხრილში (იხილეთ ქვემოთ) ჩვენს ქვეყანას 36-ე ადგილი უკავია, რაც ერთი გუნდის გამოყვანის უფლებას იძლევა. რაც შეეხება ჩემპიონთა თასისა და თასების თასის გათამაშებებს, მათში ჩვენი გუნდების მონაწილეობაზე ჯერჯერობით კონკრეტული არაფერი თქმულა, თუმცა კვინიკაძის თქმით, ყველაფერი კეთდება, ამ ტურნირებშიც რომ მივიღოთ მონაწილეობა.

წლევანდელი სეზონიდან უეფას ეგიდით კიდევ ერთი შეჯიბრება — **UEFA INTERTOTO CUP** ანუ საერთაშორისო საფეხბურთო თასი გაიმართება. მონაწილე ქვეყნების კვოტა მოგვიანებით, მარტში დადგინდება, ამჟამად კი უეფამ ევროპის ყველა ქვეყანას გაუგზავნა ამ გათამაშების დებულება. ერთი ქვეყნიდან მონაწილე გუნდების მაქსიმუმია 4, მინიმუმი კი ერთი. როგორც ბატონმა დავითმა განაცხადა, შესაძლოა ევროპის მოწინავე ქვეყნებმა, ჩვენგან განსხვავებით, არცთუ ენთუზიაზმით მიიღონ ახალი წინადადება, მით უმეტეს, რომ ახალი თასის გათამაშება ივნის-ივლისში ტარდება. მოკლედ, ბევრი რამ მარტში გაირკვევა, მანამდე კი ცნობილია, რომ გათამაშებაში 20 ან 40 გუნდი მიიღებს მონაწილეობას; ისინი 5 გუნდიან ქვეჯგუფებად იქნებიან დაყოფილნი და ერთ წრედ ითამაშებენ (ორ მეტოქეს უმასპინძლებენ, ორსაც ესტუმრებიან); ნეიტრალურ მთავარ მსაჯს ადგილობრივი ლაინსმენები დაეხმარებიან; საპრიზო ფონდი სოლიდურია (20-დან 40 ათას შვეიცარულ ფრანკამდე), შესატანი კი მცირე (200 ფრანკი), თუმცა შუა გათამაშებაში უარის თქმის შემთხვევაში კლუბი 100 ათასი ფრანკით დაჯარიმდება [illegible] სო გუნდი აგვისტოდან უეფას თასის წინასწარ ეტაპზე დაიშვება. თასის გათამაშების პირველი ტური 24-25 ივნისს გაიმართება.

რასაკვირველია, ახალი თასის შემოღებამ და მასში ჩვენი კლუბების მონაწილეობამ სიხარულთან ერთად პრობლემაც ბლომად მოიტანა. იგივე საქართველოს ჩემპიონატი ივნისის ბოლო რიცხვების მაგივრად 31 მაისისთვის უნდა დასრულდეს. აქედან გამომდინარე, ერთკვირიანი ციკლით კალენდრის შედგენა შეუძლებელია და ახლა ტურებს შორის 4-6 დღეა იქნება. როგორც გენერალურმა მდივანმა თქვა, მეორე წრე 14 მარტს დაიწყება, მანამდე კი, 6 და 10 მარტს თასის მეოთხედფინალის მატჩები გაიმართება. თავად კალენდარი კი გუშინ დამტკიცდა, როცა პირველი ჯგუფის მწვრთნელები შეიკრიბნენ. როგორც გახსოვთ, მათ წინა შეკრებაზე გამოითქვა სურვილი, რათა ევროთასების რეფორმათა გათვალისწინებით ჩვენი ქვეყნის უმაღლესი დივიზიონის კლუბებს ახლავე მიეცეთ კოლეგა-კლუბებიდან ახალი ფეხბურთელების დამატების უფლება. ეს მე-6 ჩემპიონატის დებულებაში ცვლილების შეტანის გარეშე ვერ მოხდება, ამიტომაც 8 თებერვალს მოწვეულმა აღმასკომმა, კვინიკაძის თქმით, შეიძლება ამ საკითხზეც იმსჯელოს, ოღონდ ბატონი დავითის პირადი აზრით, გუნდისთვის მაქსიმუმ ორი ფეხბურთელის დამატების უფლებაც საკმარისი იქნება. არის სხვა პრობლემებიც, განსაკუთრებით იმ კონტექსტში, რომ ინტერტოტოს თასზე ფედერაციის მიერ გაგზავნილი გუნდები სულ არაა აუცილებელი შესაბამისად მესამე, მეოთხე და ა.შ. ადგილებზე გავიდნენ. ათასგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ჩვენს ფედერაციას სწორედ რომ სპორტული პრინციპით ხელ[illegible] [illegible] დავით კვინიკაძე, როცა თქვა: ფოთის „კოლხეთს" დღემდე არა აქვს გადმორიცხული ფედერაციაში ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის დადგენილი თანხა და თუ ეს ასე დარჩა, რა თქმა უნდა, ფოთის გუნდის კანდიდატურას უეფაში არ გავგზავნით. ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ უპრიანი იქნება, თუ გუნდი, რომელიც არასაპატიო მიზეზით გააცდენს ერთ მატჩს მაინც, აგრეთვე არ იქნეს შეტანილი ინტერტოტოს თასზე მონაწილეთა სიაში. ეს და სხვა წინადადებები განიხილება 8 თებერვალს, 13 საათზე დანიშნულ აღმასკომზე. ამავე დღეს, 12 საათზე შედგება თასის მეოთხედფინალის კენჭისყრა.

მოკლედ, მარტიდან ჩვენი ჩემპიონატი ახალ საფეხურზე უნდა ავიდეს და ეს მხოლოდ საფეხბურთო დონეს როდი ეხება. საჭიროა, გუნდების ხელმძღვანელებმა რაიონების თავკაცობასთან ერთად (ბოლოსდაბოლოს ქალაქს ხომ უნდა შეეძლოს 30-კაციანი დელეგაციის სასტუმროში მიღება) ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა საქართველომ ღირსეულად ჩაატაროს უეფას ახალი გამოცდა — წარმატების შემთხვევაში ხომ ჩვენი გუნდების რაოდენობა ევროთასებზე კიდევ გაიზრდება.

ზურაბ მეძველია

თქვენს წინაშეა ცხრილი, სადაც ნაჩვენებია ევროპის 47 ქვეყნის კოეფიციენტები, რომელიც 1989-90-დან 1993-94 სეზონის ჩათვლითაა მიღებული. პირველ სამ ადგილზე გასული ქვეყანა უეფას თასის გათამაშებაში ოთხ გუნდს გამოიყვანს, 4-8 ადგილზე მყოფნი — სამ-სამს, 9-21 ქვეყნები — ორ-ორს, 21-36 კი — თითოს. ბოლო 11 ქვეყანა ამ სეზონში თავისი ჩემპიონატის პრიზიორებს უეფას თასზე ვერ მიავლენს, თუმცა როგორც უეფადან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მოსული წერილიდან ჩანს, ეს ქვეყნები უეფას თასზე თავიანთ ჩემპიონებს გამოიყვანენ. როგორც გახსოვთ, შარშან საქართველო ამ 11 ქვეყანას შორის იყო, ამიტომ ჩემპიონი „დინამო" უეფას თასზე გამოვიდა. ამჯერად სიტუაცია შეიცვალა: „ლინფილდთან" „დინამოს" წაგება კი ჩაუთვალეს, მაგრამ იმ ორ თამაშში დაგროვილმა სამმა ქულამ ჩვენი ქვეყანა ამ ცხრილში 36-ე ადგილზე გადაიყვანა და ახლა მეორე პრიზიორის უეფას თასზე თამაშის უფლებაც მივიღეთ. საინტერესოა, რომ თუ მხოლოდ 1993-94 სეზონს ავიღებთ, აქ საქართველო სამი ქულით მე-18 ადგილზე გავიდა და ბევრი ძლიერი ქვეყნის, მაგალითად, ჰოლანდიის და ბულგარეთის კოეფიციენტზე მეტი გამოუვიდა (კოეფიციენტი ასე ითვლება: ყველა კლუბის მიერ სეზონში დაგროვილი ქულა იყოფა გუნდების რაოდენობაზე). მოსალოდნელია, რომ 1996-97 სეზონში, როცა ბოლო ხუთი სეზონის დაჯამებაში 1994-95 წლების გათამაშებაც შევა, საქართველო მკვეთრად გაიუმჯობესებს სიტუაციას და შესაძლოა უეფას თასზე ორი გუნდის გამოყვანის უფლებაც მიიღოს — „დინამომ" ხომ ბოლო გათამაშებაში 6 ქულა დააგროვა და ამჟამად ჩვენი კოეფიციენტი ცხრის ტოლია.

| | | | |
|---|---|---|---|
| იტალია | 62,313 | ლატვია | 7,000 |
| საფრანგეთი | 44,750 | უკრაინა | 6,999 |
| გერმანია | 41,641 | ისლანდია | 6,666 |
| | | ფინეთი | 6,333 |
| ბელგია | 36,400 | კვიპროსი | 6,332 |
| ესპანეთი | 35,998 | უელსი | 4,333 |
| პორტუგალია | 33,800 | ალბანეთი | 4,333 |
| რუსეთი | 32,500 | სლოვენია | 4,333 |
| ინგლისი | 31,000 | ხორვატია | 4,000 |
| | | ჩრდ. ირლანდია | 3,998 |
| იუგოსლავია | 25,500 | ირლანდია | 3,665 |
| ჰოლანდია | 24,250 | მალტა | 3,331 |
| ავსტრია | 21,800 | საქართველო | 3,000 |
| საბერძნეთი | 19,500 | | |
| თურქეთი | 18,832 | სლოვაკეთი | 2,333 |
| შოტლანდია | 17,750 | ლუქსემბურგი | 2,332 |
| შვეიცარია | 15,500 | ბელარუსი | 1,500 |
| დანია | 15,166 | ფარერები | 1,500 |
| რუმინეთი | 15,100 | მოლდოვა | 1,000 |
| შვედეთი | 13,000 | ჩეხეთი | 1,000 |
| პოლონეთი | 12,166 | ესტონეთი | 0,500 |
| ისრაელი | 10,500 | ლიტვა | 0,000 |
| ბულგარეთი | 9,166 | სომხეთი | 0,000 |
| | | აზერბაიჯანი | 0,000 |
| უნგრეთი | 8,416 | მაკედონია | 0,000 |
| ნორვეგია | 8,332 | | |

## ჩიბურდანიძე — პოლგარი

ფუ, ემმაკს და სწორედ 25 თებერვალს გაიხსნება პრეტენდენტთა ფინალური მატჩი ჩვენი მაია ჩიბურდანიძისა და უნგრელ ჟუჟა პოლგარის მონაწილეობით, გამარჯვებულს ჩინელ მსოფლიოს ჩემპიონს სე ძიუნს რომ შეახვედრებს. მატჩი სანქტ-პეტერბურგში გაიმართება და საერთოდაც რუსეთის ჭადრაკის ფედერაციის ეგიდით მოეწყობა: ამ ფედერაციამ ქალთა ჭადრაკის კვალობაზე გვარიანი საპრიზო ფონდი გამოჰყო და მატჩის თაობაზე მოლაპარაკებებსაც რუსეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, ფიდეს ახალარჩეული ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი ვექილი ანდრეი მაკაროვი აწარმოებდა. რუსთა ეს მზრუნველობა იმით აიხსნება, რომ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ რუსეთის არეულ საჭადრაკო ცხოვრებაში კასპაროვ — მაკაროვის ბანაკს დაუჭირა მხარი, საერთაშორისო სარბიელზე პოზიციების განმტკიცებასა და ფიდეს ხელმძღვანელობის არჩევნებშიც, რაც შეეძლო, ხელი შეაშველა და ამათაც აკი ამაგი დაგვიფასეს. პეტერბურგში თურმე ძალიან სერიოზულად ემზადებიან, მატჩის ორგკომიტეტის თავმჯდომარეობა თვით ქალაქის მერს სობჩაკს [illegible] [illegible] ზე 2-2 საათი, მომდევნო 20-ზე — თითო-თითო, [illegible] კი ნახევარ-ნახევარი საათი პარტიის დასასრულებლად. საერთოდ, პარტიის გადაუდებლობა ანუ იმ დღესვე დასრულება ფიდეს დღევანდელი საქმიანობის ყველაზე გამოკვეთილი ტენდენციაა და მოძალებული კომპიუტერიზაციისგან თავის დახსნის მცდელობით აიხსნება — გადადებული პარტიის მოგების შანსი ხომ იმას უფრო მეტი აქვს, ვინც უფრო მდიდარია და ვისაც უკეთესი კომპიუტერი აქვს.

## შენგელია მოსკოვის „დინამოში", ნაცვლიშვილი „ბოსტონ კოლეჯში"



წინა „სარბიელში" გაუწყეთ, რომ ეროვნული ნაკრების ცენტრი კახა შენგელია „ვითას" მიუბრუნდა და ეროვნული ჩემპიონატისთვის მზადებასაც აქ გადის. ამ რამდენიმე დღეში მოვლენები ისე დატრიალდა, რომ კახას შეიძლება ამ კვირაშივე მოუწიოს... რუსეთის ჩემპიონატში ასპარეზობამ.

რამდენიმე ხნის წინ მას დაურეკეს მოსკოვის „დინამოდან". რუსეთის ვიცე-ჩემპიონის მწვრთნელმა ევგენი გომელსკიმ შენგელიას მოსკოვში ჩასვლა და კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა. ქართველმა კალათბურთელმა მიუგო, თუ სათადარიგოთა სკამისთვის მიწვევთ და თამაშის საშუალებას არ მომცემთ, ახლავე მითხარით და თავს აღარ შევიწუხებო. გომელსკის უთქვამს, რომ „დინამოს" სჭირდება შენგელია რუსეთის ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპისთვის და გაუმეორებია, ჩამოდი, კონტრაქტზე მოვილაპარაკოთო. ჩვენ ვერ დავადგინეთ, რა თანხაზეა საუბარი, მაგრამ კონტრაქტი რომ სარფიანი იქნება, უეჭველია: „დინამოს" გენერალური სპონსორი ფირმა „მიკროდინი" კალათბურთის განვითარებისთვის დიდ ფულს ხარჯავს.



ამგვარად, კახა კვირას მოსკოვში გაემგზავრა. თუ შეთანხმება შედგება, შენგელია რუსეთის ლიგაში მოთამაშე პირველი ქართველი გახდება.

„კაქტუსის" 19 წლის თავდამსხმელს ვახტანგ ნაცვლიშვილს კი ამ დღეებში შანსი მიეცა გახდეს ამერიკაში მოასპარეზე პირველი ქართველი. შარშან ვატომ ოკეანის გაღმა მეგობრების დახმარებით გაგზავნა ვიდეოფირი, რომელზეც მისი თამაშის მომენტები იყო აღბეჭდილი. პასუხის იმედი თითქოს აღარავის ჰქონდა, მაგრამ ახლახან შტატებიდან ფაქსი მოვიდა: ბოსტონის კოლეჯის საკალათბურთო გუნდი დაინტერესებულა ნაცვლიშვილის პერსონით და როგორც ამ სასწავლებლის ხელმძღვანელები იუწყებიან, ცოტა ხანში ოფიციალურ მოწვევასაც გამოუგზავნიან. „ბოსტონ კოლეჯი" კოლეჯის ათლეტთა ეროვნული ასოციაციის (NCAA), ანუ ჩვენებურად ამერიკის სტუდენტური ჩემპიონატის გათამაშებაში მონაწილეობს. მოგეხსენებათ, აქედან NBA-ის დრაფტამდე სულ ერთი ნაბიჯია.

მერაბ რატიშვილი

# მურთაზ ხურცილავა: ერთ-ერთს რომ ხელი გამოვკრათ...

პირველი წრის ლიდერმა „სამტრედიამ“ ერთ თვემდე დაჰყო თბილისში და სეზონისწინა სამზადისიც თითქმის დედაქალაქში გაატარა, რადგან კვიპროსსა და პოლონეთში დაგეგმილი ტურნეები ჩაეშალა. სამტრედიელები უსაქმოდ არ დარჩენილან და ვარჯიშის კვალად სამი საკონტროლო მატჩიც გამართეს: რუსთავში „მეტალურგთან“ 1:2 და 4:2, გორის „დილასთან“ კი — 0:0. ფეხბურთელების თქმით, ამ ბოლო თამაშში ნათლად გამოჩენილა, რას ნიშნავს შვიდი გუნდი ევროთასებზე — გორელებმა ისეთი მედგარი წინააღმდეგობა გაგვიწიეს, წარმოგვიდგენია ჩემპიონატში რა ბრძოლა გაჩაღდებაო — მითხრეს. ამავე აზრისაა „სამტრედიის“ მთავარი მწვრთნელი მურთაზ ხურცილავაც.

— მეორე წრე ორი ფაქტორის გამო ისეთი დაძაბული იქნება, როგორც არასდროს. ჯერ ერთი, გუნდების ლამის ნახევარს ევროპაში გასვლის შანსი ეძლევა და მეორეც, „დინამო“ პირველად აღმოჩნდა მდევრის როლში.

— „სამტრედია“ — „დინამოს“ მატჩი მეორე წრის დასაწყისშივე შედგება. მზად იქნება იმ დროისთვის თქვენი გუნდი?

— ჩვენმა ფეხბურთელებმა იციან ამ თამაშის ფასი და თავდაუზოგავადაც ითამაშებენ. სიტყვამ მოიტანა და, თვითონ ის ფაქტი, რომ „დინამოს“ ჩემპიონობისთვის ბრძოლა უხდება, ძალზე სასარგებლოა ქართული ფეხბურთისთვის. საჭიროა, რაც შეიძლება მეტმა გუნდმა გაუწიოს „დინამოს“ წინააღმდეგობა, ეს „დინამოსთვისაც“ კარგი იქნება და მთლიანად ქართული ფეხბურთისთვისაც.

— თქვენი პრეტენზიები ალბათ თასზეც ვრცელდება.

— რა თქმა უნდა. თასისთვისაც ვიბრძოლებთ, თუმცა ერთერთს — თასს ან ჩემპიონობას ხელი რომ გამოვკრათ, ვფიქრობ, „სამტრედიისთვის“ ესეც დიდი წარმატება იქნება. ისე, ამ შვიდი გუნდის დაშვებამ, ცოტა არ იყოს, უარყოფითად იმოქმედა ფეხბურთელებზე, ახლა ხომ თითქმის გარანტირებული გვაქვს ევროპაში გასვლა. თუმცა, ვფიქრობ, ჩემპიონატი დაიწყება და ბიჭები უცებ გამოვლენ ეიფორიიდან.

— საკადრისად თუ მოემზადეთ?

— სამწუხაროდ, ვერა. თბილისში ერთ კვირას ვაპირებდით დარჩენას და თითქმის თვე გამოგვივიდა. კვიპროსის და პოლონეთის ტურნეები ჩაგვეშალა, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობამ მაინც გაგვიხერხა შეკრება თურქეთში — 1 თებერვლიდან ოცდღიან შეკრებას დავიწყებთ ანტალიაში.

— „სამტრედიას“ ბაზა აქვს ჯიხაიშში. იქ რატომ არ აწყობთ შეკრებებს?

— ზამთარში იქ ვარჯიში გამორიცხულია, ის კი არა, თბილისს ვერ ვახერხებდით წყლის გადავლებას ხეირიანად ვარჯიშის შემდეგ. ჩვენთან მხოლოდ ზაფხულობით შეიძლება მომზადება, რაც გავაკეთეთ კიდეც სეზონის წინ.

— ნაკრების სამტრედიელი წევრი კახი გოგიჩაიშვილი როგორ ფორმაშია?

— ამასწინათ ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ვესაუბრე და მან ჩვენი კლუბიდან ნაკრებისთვის რამდენიმე ფეხბურთელზე ჩამომიგდო სიტყვა. მე მათ გვარებს შეგნებულად არ დავასახელებ, ეს ნაკრების მწვრთნელის პრეროგატივაა.

— ახლა ბევრი ლაპარაკობს ფეხბურთელთა გადასვლა-გადმოსვლაზე მეორე წრის წინ. თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

— ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა თუ ამის უფლებას მოგვცემენ, რადგან ამდენი გუნდის ევროთასებზე დაშვებამ მეტი პასუხისმგებლობა [illegible] სუსტი გუნდებით ხომ ვერ გავალთ ევროპაში?

— [illegible] თქვენ თავად ხომ არ გეგმავთ ფეხბურთელთა დამატებას სხვა კლუბებიდან?

— დიახ, არის ასეთი ფეხბურთელი, ვისი გადმოყვანაც მსურს ჩემს გუნდში. მაგრამ მის გვარს მანამდე ვერ დაგისახელებთ, სანამ ფედერაცია სამისო ნებართვას არ მოგვცემს. ვფიქრობ, ეს მოთამაშე ზედგამოჭრილია „სამტრედიისთვის“ და, ფაქტიურად, გუნდი დაკომპლექტებული გვეყოლება.

— ერთი სიტყვით, ყველაზე საინტერესო წინაა.

— რა თქმა უნდა, მეორე წრე ისეთი საინტერესო იქნება, როგორც არასდროს.

მამუკა კვარაცხელია

## საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრის კალენდარი

**მე-16 ტური. 14 მარტი**
დურუჯი — დინამო
კახეთი — კოლხეთი 1913
სამგურალი — ტორპედო
საპოვნელა — სამტრედია
ზუგდიდი — ბათუმი
ივერია — გურია
დილა — მარგვეთი
მეტალურგი — შევარდენი 1906

**მე-17 ტური. 18 მარტი**
დილა — დურუჯი
მარგვეთი — ივერია
გურია — მეტალურგი
შევარდენი 1906 — ზუგდიდი
ბათუმი — საპოვნელა
სამტრედია — სამგურალი
ტორპედო — კახეთი
კოლხეთი 1913 — დინამო

**მე-18 ტური. 22 მარტი**
დურუჯი — კოლხეთი 1913
დინამო — ტორპედო
კახეთი — სამტრედია
სამგურალი — ბათუმი
საპოვნელა — შევარდენი 1906
ზუგდიდი — გურია
მეტალურგი — მარგვეთი
ივერია — დილა

**მე-19 ტური. 2 აპრილი**
ივერია — დურუჯი
დილა — მეტალურგი
მარგვეთი — ზუგდიდი
გურია — საპოვნელა
შევარდენი 1906 — სამგურალი
ბათუმი — კახეთი
სამტრედია — დინამო
ტორპედო — კოლხეთი 1913

**მე-20 ტური. 6 აპრილი**
დურუჯი — ტორპედო
კოლხეთი 1913 — სამტრედია
კახეთი — შევარდენი 1906
სამგურალი — გურია
საპოვნელა — მარგვეთი
ზუგდიდი — დილა
მეტალურგი — ივერია
დინამო — ბათუმი

**21-ე ტური. 10 აპრილი**
შევარდენი 1906 — დინამო
მეტალურგი — დურუჯი
ივერია — ზუგდიდი
მარგვეთი — სამგურალი
დილა — საპოვნელა
გურია — კახეთი
ბათუმი — კოლხეთი 1913
სამტრედია — ტორპედო

**22-ე ტური. 16 აპრილი**
დინამო — გურია
ტორპედო — ბათუმი
დურუჯი — სამტრედია
კოლხეთი 1913 — შევარდენი 1906
კახეთი — მარგვეთი
სამგურალი — დილა
საპოვნელა — ივერია
ზუგდიდი — მეტალურგი

**23-ე ტური. 20 აპრილი**
ზუგდიდი — დურუჯი
მეტალურგი — საპოვნელა
ივერია — სამგურალი
დილა — კახეთი
მარგვეთი — დინამო
გურია — კოლხეთი 1913
შევარდენი 1906 — ტორპედო
ბათუმი — სამტრედია

**24-ე ტური. 29 აპრილი**
დურუჯი — ბათუმი
სამტრედია — შევარდენი 1906
ტორპედო — გურია
კოლხეთი 1913 — მარგვეთი
დინამო — დილა
კახეთი — ივერია
სამგურალი — მეტალურგი
საპოვნელა — ზუგდიდი

**25-ე ტური. 3 მაისი**
საპოვნელა — დურუჯი
ზუგდიდი — სამგურალი
მეტალურგი — კახეთი
ივერია — დინამო
დილა — კოლხეთი 1913
მარგვეთი — ტორპედო
გურია — სამტრედია
შევარდენი 1906 — ბათუმი

**26-ე ტური. 7 მაისი**
დურუჯი — შევარდენი 1906
ბათუმი — გურია
სამტრედია — მარგვეთი
ტორპედო — დილა
კოლხეთი 1913 — ივერია
დინამო — მეტალურგი
კახეთი — ზუგდიდი
სამგურალი — საპოვნელა

**27-ე ტური. 11 მაისი**
სამგურალი — დურუჯი
საპოვნელა — კახეთი
ზუგდიდი — დინამო
მეტალურგი — კოლხეთი 1913
ივერია — ტორპედო
დილა — სამტრედია
მარგვეთი — ბათუმი
გურია — შევარდენი 1906

**28-ე ტური. 18 მაისი**
დურუჯი — გურია
შევარდენი 1906 — მარგვეთი
ბათუმი — დილა
სამტრედია — ივერია
ტორპედო — მეტალურგი
კოლხეთი 1913 — ზუგდიდი
დინამო — საპოვნელა
კახეთი — სამგურალი

**29-ე ტური. 22 მაისი**
კახეთი — დურუჯი
სამგურალი — დინამო
საპოვნელა — კოლხეთი 1913
ზუგდიდი — ტორპედო
მეტალურგი — სამტრედია
ივერია — ბათუმი
მარგვეთი — გურია
დილა — შევარდენი 1906

**30-ე ტური. 31 მაისი**
დურუჯი — მარგვეთი
გურია — დილა
შევარდენი 1906 — ივერია
ბათუმი — მეტალურგი
სამტრედია — ზუგდიდი
ტორპედო — საპოვნელა
კოლხეთი 1913 — სამგურალი
დინამო — კახეთი

### საქართველოს თასი

**6, 10 მარტი.** მეოთხედფინალი
**13 აპრილი, 15 მაისი** ნახევარფინალი.
**26 მაისი.** ფინალი

## „მრეტები“ და მრეტები



1988 წელს თბილისელებს ახალი სალაპარაკო თემა გაუჩნდათ: სპორტის სასახლეში შექმნილმა ჩვენში პირველმა პროფესიულმა საფეხბურთო კლუბმა უცნაური სახელწოდებით — „მრეტები“, ზედიზედ მოიგო მინი-ფეხბურთის ტურნირები და საბჭოთა კავშირის უმაღლესი ლიგის გუნდებიც შეარცხვინა. ორ წელიწადში, ეროვნული ჩემპიონატი რომ დაიწყო, „მრეტებმა“ 420 დღეში 56 მატჩიდან 48 მოიგო და მესამე დივიზიონიდან პირველში ამოჰყო თავი! გაჩნდა რეალური შესაძლებლობა, რომ შექმნილიყო კიდევ ერთი ძლიერი გუნდი, მაგრამ ჩემი აზრით აქ კლუბის ხელმძღვანელობამ შეცდომა დაუშვა: არ შეიძინა კლუბისთვის საფეხბურთო ბაზა — აუცილებელი ატრიბუტი დიდი ფეხბურთის სათამაშოდ, არ გააძლიერა გუნდი კიდევ რამდენიმე ფეხბურთელით. შემდეგ ობიექტურმა მიზეზებმაც იჩინა თავი და „მრეტებმაც“ პირველი ჯგუფი დატოვა. ახლა „მრეტები“ მეორე დივიზიონში გამოდის, მრეტები კი ევროპას მოედენენ: მთავარი მრეტი — ვაჟა ჩხაიძე მიუნხენში იმყოფება და იქიდან ხელმძღვანელობს კლუბს, ბუბა ტყავაძე ისრაელში, „ლოდში“ იტანს გოლებს, ვახტანგ იაგორაშვილი, ალეკო გელაძე, დავით ჯანელიძე — ბრაუნშვაიგის „აინტრახტში“ თამაშობენ, აქვე გამოდის „მრეტებიდან“ ნასული გიორგი ღუდუშაურიც, მიშა ოჩერაშვილი ადრევე გადავიდა ისრაელში და ახლა ერთ-ერთ „მაკაბიში“ თამაშობს, კახა სიდამონიძეს ტრავმა მოუშუშებია და შეიძლება კვლავ ნაკრებში მოხვდეს, მამუკა ქვარცხავა ოდესას გაემგზავრა გასასინჯად, უცხოეთში უთამაშიათ ხურცილავას, ჩუხუას, ჯაგიდისს, გელა ქორიძე „დინამოში“ ვარჯიშობს, პაპიძე და ასპინძელაშვილი ოლიმპიურ ნაკრებში არიან, გიორგი ქინქლაძე კი, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ეროვნული ნაკრების ლიდერია.

კლუბის ამჟამინდელი პრეზიდენტი, ძველი მრეტი, თბილისური მინი-ფეხბურთის ვარსკვლავი ირაკლი ქავთარაძეა.

— ბატონო ირაკლი, „მრეტების“ დევიზი მუდამ პირველობა იყო და არა ქვედა დივიზიონში მაჩანჩალობა.

— დრომ მოიტანა, სამწუხაროდ. როდესაც უმაღლეს ჯგუფში გადავედით, ალბათ უფრო სხვანაირად უნდა მოგვეკიდა საქმისთვის ხელი. მერე ქინქლაძე „დინამოში“ გადავიდა, ტყავაძემ სერიოზული ტრავმა მიიღო, „მრეტები“ კი ძირითადად ამ ორ ფეხბურთელზე იყო აწყობილი. მერე და მერე დაემატა ომი, ინფლაცია, უამრავი გუნდი დაიშალა. ჩვენ კი ავად თუ კარგად შევინარჩუნეთ „მრეტები“, შევინარჩუნეთ უკეთესი დროისა და მომავლის იმედით.

— ფეხბურთელთა უცხოეთში წასვლა თქვენს გეგმებში შედიოდა?

— შექმნილი მდგომარეობიდან ეს ყველაზე უკეთესი გამოსავალია. გვინდა ეს ბიჭები გადარჩნენ, გადარჩნენ როგორც პიროვნებები და როგორც ფეხბურთელები. ოდნავ უკეთესობისკენ წავა ცხოვრება და ისევ შეიკრიბება „მრეტები“ და ისევ დაამახსოვრებს თავს გულშემატკივარს.

— „მრეტების“ შემქმნელი ვაჟა ჩხაიძე ამჟამად გერმანიაშია. რას საქმიანობს იქ?

— სასელექციო საქმიანობას ეწევა. ბრაუნშვაიგში, მიუნხენში, ფრანკფურტში უკვე მუშაობს ჩვენი და მათი ერთობლივი სასელექციო ცენტრები, მალე ამერიკაშიც გაიხსნება. 1990 წელს ჩვენ ამერიკული კლუბი „იგლზი“ მოვიწვიეთ თბილისში და ეს მათი მეშვეობით მოხდება. მალე რუსეთშიც ამოქმედდება ასეთი ფილიალი. მოსკოვში „მრეტების“ ერთ-ერთი მფლობელი გიგლა დავიდოვი მუშაობს ამ საკითხზე. მოკლედ „მრეტები“ „ხიდი“ გახდება ჩვენსა და უცხოურ ფეხბურთს შორის.



1991 წლის „მრეტები“. სხედან: ჯანელიძე, ჯაგიდისი, ქორიძე, ქინქლაძე, ოჩერაშვილი, ჟორჟიკაშვილი; დგანან: ტყავაძე, კვეტენაძე, ასპინძელაშვილი, ქვარცხავა, სიდამონიძე

— ესე იგი, კლუბი გარკვეული ვადით უარს ამბობს პირველობაზე?

— ჩვენი მიზანი არასოდეს ყოფილა შედეგი. ჩვენთვის მთავარი იყო ფეხბურთისთვის დაკარგული ბიჭები დაგვებრუნებინა ფეხბურთში და თან ნიჭიერებიც შეგვერჩია. 1973 წელს დაბადებული ბიჭებიდან ბევრი ფეხბურთს უნდა შეშვებოდა, რადგან ძლიერ კლუბებში ვერ მოხვდნენ და მათს ასაკში ეს რთული შესაგუებელი იყო. ჩვენ მოვიყვანეთ ისინი და შედეგსაც ხედავთ — ყველამ ფეხბურთი ითამაშა. ეროვნულ ჩემპიონატში 99-ე ნომრად ჩაგრთეს, წელიწადნახევარში უმაღლეს ჯგუფში გადავედით და ერთი მეშვიდე ადგილზეც კი ვიყავით. ალბათ გახსოვთ, თასზე მანამდე უძლეველი „დინამოც“ კი დავამარცხეთ.

— არ აჯობებდა, უმაღლეს ჯგუფში რომ გადმოხვედით, ვინმე მდიდარი სპონსორი გეპოვათ, ბაზა გეყიდათ, მოთამაშეები მოგეწვიათ. მაშინ ხომ იყო ამის შესაძლებლობა?

— ეგ ჰარმონიას დაარღვევდა. „მრეტები“ ჩვენი სახლია, ჩვენი გასაყოფი ჭირიც და ლხინიც, ასე იყო და ასე იქნება. რაც შეეხება ბაზას, ახლო მომავალში დავიწყებთ მის მშენებლობას თბილისში, ადგილი უკვე შერჩეული გვაქვს. გერმანელი პარტნიორები დაგვეხმარებიან.

— უშუალოდ გუნდში ახლა რა მდგომარეობაა?

— „მრეტების“ მთავარი მწვრთნელი ნიკა ამირეჯიბია, მას კობა ამბიძე ეხმარება. ძირითადად 1977-78 წლებში დაბადებული ბიჭები გვყავს. ორიოდე დღის წინ „დინამოს“ პრეზიდენტს, მერაბ ჟორდანიას მოველაპარაკეთ და 10 ახალგაზრდა „დინამოდან“ „მრეტებში“ გადმოგვყავს. ისინიც ამ ასაკისა არიან. ეს ბიჭები ჯერ „დინამოს“ ძირითადში ვერ მოხვდებიან, სკამზე ჯდომას კი „მრეტებში“ თამაში სჯობია, თუნდაც მეორე ჯგუფში. რაწამს „დინამოს“ დასჭირდება, იმწამს წაიყვანს ფეხბურთელს. უცხოური კლუბი დაინტერესდება და ურთიერთშეთანხმებით საზღვარგარეთ გავუშვებთ ახალგაზრდას. ჯერჯერობით ყველა ლეგიონერმა მრეტმა გაამართლა.

— ესე იგი, უკეთეს დროს ელოდებით?

— ველოდებით. მერე კი ისევ დაარეტიანებს მეტოქეს „მრეტები“...

...კლუბთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა მქონდა და მუდამ თბილად ვიხსენებ იმ დროს. „მრეტებს“, უჭირდათ თუ ულხინდათ, მოყვასისთვის მუდამ მზად ჰქონდათ თბილი სიტყვა და დახმარებისთვის გაწვდილი ხელი, „ცხუმი“ იყო, „ამირანი“ თუ სხვა. ალბათ დადგება კარგი დრო საქართველოშიც და მაშინ „მრეტები“...

მამუკა კვარაცხელია

## იტალია

# სიკვდილი გენუაში

გამოტოვებული მატჩი. 25 იანვარი. ტორინო — იუვენტუსი 3:2

XVII ტური. 29 იანვარი. ინტერი — ტორინო 2:1, ლაციო — ბარი 1:2, იუვენტუსი — ბრეშია 2:1, კალიარი — ფიორენტინა 2:0, რეჯანა — ნაპოლი 1:2, კრემონეზე — პარმა 1:1, ფოჯა — რომა 0:1, პადოვა — სამპდორია 1:4. ჯენოა — მილანი ჩაიშალა

ტური ერთობ საინტერესო გამოდგა, მაგრამ გენუაში მომხდარმა ტრაგიკულმა შემთხვევამ ყველაფერი დაჩრდილა. „ჯენოასა" და „მილანის" თამაშის წინ ორი გუნდის გულშემატკივრებს შორის გამართული შეხლა-შემოხლის დროს ვიღაც მილანელმა ხულიგანმა დანით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა 25 წლის ვინჩენცო სპანიოლოს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, გუნდებმა თამაში მაინც განიზრახეს, მაგრამ ტრიბუნებზე სიტუაცია ერთობ დაიძაბა: მკვლელებო, მკვლელებო — სკანდირებდნენ ადგილობრივი გულშემატკივრები და იმ ტრიბუნისკენ მიილტვოდნენ, სადაც მილანელი ტიფოზები ისხდნენ, თან მოედანზე ათასგვარ ნივთს ისროდნენ. ბოლოს მოითხოვეს, რომ მათთან „ჯენოას" კაპიტანი მისულიყო და მას თამაშის შეწყვეტა მოსთხოვეს. მართლაც, ბურთაობას უკვე აზრი აღარ ჰქონდა და ორი კაპიტნის გადაწყვეტილებით გუნდებმა მატჩი შეწყვიტეს. პოლიციამ რის ვაი-ვაგლახით გაათავისუფლა სტადიონი გენუელებისგან, რომლებიც გარეთ შეჯგუფდნენ და ტრიბუნაზე დარჩენილ მილანელებს ელოდნენ. სწორედ ქუჩაში მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა კანონის დამცველებსა და ხალხს შორის, რომელიც ხელკეტიანი პოლიციელების გამარჯვებით დამთავრდა, თუმცა მათაც კარგად მოხვდათ, დამტვრეულ მანქანებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

რომ არა ეს ტრაგედია, ყველას ყურადღების ცენტრში ალბათ „ლაციოს" შინ წაგება იქნებოდა. სანდრო ტოვალიერიმ ცაციათი ორი გოლი გაუტანა მასპინძლებს (30, 62), რომლებმაც მხოლოდ მსაჯის მიერ დამატებულ მეექვსე წუთზე იხეირეს სინიორის დარტყმით. სიტყვამ მოიტანა და „მსაჯთა დროში", როგორც დამატებულ წუთებს ეძახიან, კიდევ არაერთი გოლი გავიდა და თან რომის მატჩისგან განსხვავებით, სწორედ ამ გოლებმა გადაწყვიტეს ზოგიერთი მატჩის ბედი. ასე მოხდა მილანში, სადაც იონკის 53-ე წუთზე გატანილი ულამაზესი გოლი სტუმრებმა 81-ეზე სილენცის არანაკლებ ლამაზი თავურით გაქვითეს, მაგრამ 94-ე წუთზე „ტორინოს" მეკარემ საჯარიმოში ბერკამპი მოცელა და შეცვლაზე შესულმა 22 წლის პიერლუიჯი ორლანდინიმ პენალტი უზადოდ დაარტყა. ასევე მოხდა ტურინში, სადაც მაჩაჩალა „ბრეშია" სენსაციური ქულის წაღებას აპირებდა სახლში, მაგრამ ვიალიმ 91-ეზე აგრეთვე პენალტით ეს საქმე ჩაშალა. არადა, „ბრეშია" იგებდა, მაგრამ ჯერ დელ პიერომ ისახელა თავი, მატჩის ფინალი კი უკვე გაუწყეთ. 92-ე წუთზე უპასუხა „რეჯანამ" რინკონისა (38-ე წუთი) და კრუზის (78) ორ გოლს. 91-ეზე გაუტანა მეორე გოლი ფლორენციელებს სარდინიელმა ერერამ, მაგრამ თავად პენალტი, საიდანაც ეს გოლი გავიდა, აშკარად გამოიგონა იტალიელ მსაჯთაგან საუკეთესომ პიერლუიჯი პაირეტომ — სტუმართა მეკარე თითითაც არ შეხებია ოლივეირას, მაგრამ ის ისე დაეცა, გამოცდილი რეფერიც კი შეაცდინა. ანგარიში 32-ე წუთზე მუციმ გახსნა. მეტი ღირსშესანიშნავი ამ შეხვედრაში, რომელიც სხვებზე გვიან გაიმართა, არაფერი ყოფილა, თუ არ ჩავთვლით წუთიერ დუმილს, რომელიც ვინჩენცო სპანიოლოს ხსოვნას მიეძღვნა.

ხანმოკლე წაბორძიკების შემდეგ კვლავ წელში გასწორდა „სამპდორია". დევიდ პლატმა, წინა ტურში პენალტი რომ ვერ შეაგდო, ახლა აანაზღაურა დანაკლისი და მე-16 წუთზე გახსნა ანგარიში. ამას ევანის (51), მანჩინისა (73) და იუგოვიჩის (79) გოლები მოჰყვა და მასპინძლებმა პრესტიჟის გოლი, ამ ტურისთვის ტრადიციულად, ბოლო წუთზე გაიტანეს. „რომა" თავიდანვე ეკვეთა „ფოჯას" და პირველივე წუთზე ბალბოს ბრწყინვალე ჯარიმით მოიგო. რომაელ არგენტინელს არც კრემონელი ენრიკო კიეზა ჩამორჩა და მანაც ჯარიმიდან გაუტანა „პარმას", რომელიც მანამდე ძოლას მიერ შესრულებული პენალტის წყალობით იგებდა. ახლა „პარმა" 3 ქულით ჩამორჩება „იუვენტუსს", რომელმაც ოთხშაბათს გამოტოვებული მატჩიც ითამაშა „ტორინოსთან" და ვიალის ორი გოლის მიუხედავად დამარცხდა. ამაში დამნაშავე კი... ვიალია, ვინც პენალტი უხეიროდ დაარტყა და ვერც ქულა გადაარჩინა და ვერც ჰეთ-თრიქი შეასრულა.

სერია B-ს ლიდერებმა მორიგი ქულები ჩაიჯიბეს: „პიაჩენცამ" 1:0 მოუგო „პერუჯას" და 37 ქულა დააგროვა, „უდინეზემ" კი 2:1 სძლია „ასკოლი" და ახლა ლიდერს ოთხი ქულით ჩამორჩება. მესამე ადგილზე 30 ქულით „ანკონაა". ცხრილის ბოლოში ყოფილი უმაღლესლიგელები მოთავსდნენ: „ასკოლი" (17 ქულა), „კომო" (16) და „ლეჩე" (14).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 18 | 12 | 3 | 3 | 32-20 | 39 |
| პარმა | 18 | 10 | 6 | 2 | 30-15 | 36 |
| ლაციო | 18 | 9 | 4 | 5 | 37-22 | 31 |
| რომა | 18 | 8 | 7 | 3 | 23-12 | 31 |
| სამპდორია | 18 | 7 | 7 | 4 | 30-16 | 28 |
| მილანი | 17 | 7 | 7 | 3 | 21-15 | 28 |
| ფიორენტინა | 18 | 7 | 6 | 5 | 31-25 | 27 |
| ბარი | 18 | 8 | 2 | 8 | 22-25 | 26 |
| კალიარი | 18 | 6 | 7 | 5 | 18-18 | 25 |
| ინტერი | 18 | 6 | 6 | 6 | 16-15 | 24 |
| ფოჯა | 18 | 6 | 6 | 6 | 20-24 | 24 |
| ტორინო | 18 | 6 | 5 | 7 | 18-21 | 23 |
| ნაპოლი | 18 | 4 | 9 | 5 | 23-29 | 21 |
| კრემონეზე | 18 | 5 | 3 | 10 | 16-22 | 18 |
| ჯენოა | 17 | 4 | 5 | 8 | 19-26 | 17 |
| პადოვა | 18 | 5 | 2 | 11 | 18-40 | 17 |
| რეჯანა | 18 | 3 | 3 | 12 | 13-24 | 12 |
| ბრეშია | 18 | 1 | 6 | 11 | 9-27 | 9 |

ბომბარდირები

გაბრიელ ბატისტუტა (ფიორენტინა) — 15

სანდრო ტოვალიერი (ბარი) — 13

ჯუზეპე სინიორი (ლაციო) — 11

აბელ ბალბო (რომა) — 10

ჯანლუკა ვიალი (იუვენტუსი) — 10

ჯანფრანკო ძოლა (პარმა) — 9

## თურქეთი

# ტრაბზონს ხელი მოეცარა

კვირას ქვეყნის ჩემპიონატის მეორე წრის მეორე ტური ჩატარდა. არ გაუმართლა „ტრაბზონსპორს", რომელიც „ანთალიასპორს" მასპინძლობდა და უამრავი საგოლე მომენტის გამოუყენებლობის გამო ერთ ქულასდა დასჯერდა — 0:0. ასევე მხოლოდ ქულა აიღო ლიდერმა „ბეშიქთაშმა" „ქოჯაელისპორთან" გასვლით მატჩში — 1:1. ამასობაში ღრო იხელთა „გალათასარაიმ" და შინ „ფეთროლოფისი" 2:0 დაამარცხა. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ვანსპორი — სამსუნსპორი 5:1, ბურსასპორი — ალთაი 1:1, ადანადემისპორი — ქაისერისპორი 0:2, დენიზლისპორი — გაზიანთეფი 2:1, ზეითინბურნუ — გენჩლერბირლიგი 0:0, ანკარაგიუჯუ — ფენერბაჰჩე 2:3. 43 ქულით ლიდერობს „ბეშიქთაში". მას ქულით ჩამორჩება „გალათასარაი", სამით — „ტრაბზონსპორი" და ექვსით — „ფენერბაჰჩე", ვისაც ახლა ტომისლავ ივიჩი წვრთნის.

## კვიპროსი

# გოჩა, ყიზო და ბაჯბაჯა

ჩემპიონატის მორიგ ტურში კვლავ გაილაღეს ლიდერებმა. ნიქოზიის „ომონიას" დიდი ანგარიშით (5:0) გამარჯვებას „პარალიმნისთან" საფუძველი ისევ გოჩა გოგრიჭიანმა ჩაუყარა მეოთხე წუთზე, მერე თანაგუნდელებს ორი საგოლე პასი მისცა, ერთი გოლი კვიპროსელებმა ჩვენების ჩაურევლად გაახერხეს, ბოლო წუთზე კი საქმე დათო ყიზილაშვილმა დააგვირგვინა. ამ მოგების შემდეგ გოჩას და ყიზოს გუნდს 42 ქულა დაუგროვდა და იგი ორი ქულით ჩამორჩება ლიდერ „ანორთოსისს", რომელმაც კვირას ა.ე.კ-ი შინ 3:0 დაამარცხა. კვლავ წააგო კუდინოვის „არისმა" (წინა ნომერში დიმას გუნდად „აპოელი" გავასაღეთ, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით). მან ამჯერად ლიმასოლის ა.ე.ლ-თან დათმო 0:2. მესამე ადგილზე მყოფმა ლარნაკის „ნეა სალამინამ" შინ 9 ქულით ცხრილის ძირში მყოფი არადიპუს „ომონია" 4:2 დაამარცხა, თუმცა მოულოდნელად გაუჭირდა — „არადიპუში" მოთამაშე როინ კერძევაძისთვის თანაგუნდელებს მხარი რომ აებათ, შედეგი ალბათ სხვა იქნებოდა: როინმა ჯერ პენალტი „აიკიდა", მაგრამ გუნდში ხეირიანი დამრტყმელი არ აღმოჩნდა. მერე „ბაჯბაჯამ" (კერძევაძის მეტსახელია) ერთი გოლი სხვას გაატანინა, მალე თავადაც შეაგდო, მაგრამ წაზდენილ საქმეს ვერ უშველა. ამავე ტურში „ოლიმპიაკოსმა" გასვლაზე „აპოლონი" 2:0 სძლია. „ეთნიკოსის" და „აპოელის" მატჩი კი ფრედ 1:1 დამთავრდა.



როინ კერძევაძე

## ინგლისი

# ეს კანტონა ვინ ყოფილა...

23-28 იანვარი. არსენალი — საუთჰემპტონი 1:1, კრისტალ პალასი — მანჩესტერ იუნაიტედი 1:1, ლივერპული — ევერტონი 0:0, ბლექბერნი — იფსვიჩი 4:1, ლიდსი — ქუინზ პარკი 4:0, მანჩესტერ სიტი — ლესტერი 0:1, ჩელსი — ნოტინგემი 0:2, ნორვიჩი — ქოვენტრი 2:2, ასტონ ვილა — ტოტენჰემი 1:0, ნიუკასლი — უიმბლდონი 2:1, ვესტ ჰემი—შეფილდი 0:2 თასი (მეოთხე წრე, მეთექვსმეტედფინალი) 28, 29 იანვარი: ბერნლი — ლივერპული 0:0, კოვენტრი — ნორვიჩი 0:0, ლიდსი — ოლდჰემი 3:2, ლუთონ თაუნი — საუთჰემპტონი 1:1, მანჩესტერ სიტი — ასტონ ვილა 1:0, მანჩესტერ იუნაიტედი — რექსჰემი 5:2, მილუოლი — ჩელსი 0:0, ნიუკასლი — სუონსი 3:0, ნოტინგემი — კრისტალ პალასი 1:2, პორტსმუთი — ლესტერი 0:1, ქუინზ პარკი — ვესტ ჰემი 1:0, უოტფორდი — სვინდონი 1:0, ბრისტოლ სიტი — ევერტონი 0:1, სანდერლენდი — ტოტენჰემი 1:4, ტრანმეარი—უიმბლდონი 0:2; მეხუთე წრე 18-19 თებერვალს გაიმართება.

წინა კვირაში ყველაფერი დაჩრდილა ოთხშაბათს საღამოს ლონდონში მომხდარმა ინციდენტმა. მანამდე, ორშაბათს „ვესტ ჰემის" ორი მოთამაშე გაუქვეს: ბრეიკერმა ორი გაფრთხილება დაიმსახურა, მარტინი კი მეტოქეს — ბრაითს უხეშად ეთამაშა. ამ ბრაითის და უოლლის გოლებით შეფილდის გუნდმა ლონდონელები დაამარცხა.

სამშაბათს დიდი ამბით ელოდნენ „მერზისაიდურ დერბის". წელს „ევერტონს" 2:0 დაემარცხებინა „ლივერპული", რომელსაც ამჯერად დაშავებული რაში ჰკლდა. თამაში ძალზედ უფერული გამოდგა და „ლივერპულიც" მესამე ადგილზე დარჩა. „არსენალს" კი 23 ოქტომბრის შემდეგ შინ ვერ გაემარჯვნა და ვერც ამჯერად შეძლო.

განელი იებოსათვის „ლიდსში" თამაშის ნება დაერთოთ იმიგრაციის სამსახურის ჩინოვნიკებს, მაგრამ დახეთ უბედურებას — აფრიკელს ანგინა შეპყროდა. იებოამ მაინც ითამაშა. იორკშირელთაგან თავი გამოიჩინა სამხრეთაფრიკელმა ფილ მასინგამ, რომელმაც „ქუინზ პარკს" ორი ბურთი გაუტანა.

ოთხშაბათს „ტოტენჰემის" 11-მატჩიანი წაუგებელი სერია „ასტონ ვილამ" შეწყვიტა სონდერსის გოლის მეშვეობით. ლონდონელთა გერმანელი ფორვარდი კლინსმანი მეტოქის ავსტრალიელ მეკარე ბოსნიჩს შეეჯახა და ყბა და ცხვირი ჩაემტვრა; ეჭვობდნენ, ტვინიც ხომ არ შეერყაო, მაგრამ ტესტებმა ეჭვი გააქარწყლეს.

„კრისტალ პალას" — „მანჩესტერ იუნაიტედის" თამაშში კი აი რა მოხდა: მსაჯმა ფრანგი მანჩესტერელი ერიკ კანტონა მოედნიდან გააძევა. მოედნიდან რომ გადიოდა, ფრანგი უადგილო რეპლიკით გააბრაზა მაყურებელმა, გვარად სორენსენმა. პოდა, ერიკიც ათიოდე წამით გახელდა, სარეკლამო ფარს გადაახტა, სორენსენს მიეჭრა, წიხლი გულ-მკერდში სდრუზა, მერე კი მუშტიც უთავაზა. ბედად, კანტონას კლუბის მუშაკებმა მიუსწრეს და ალაგმეს. ინციდენტს ცხოველი რეზონანსი მოყვა, ვინაიდან ტელეარხებმა მთელს მსოფლიოს აჩვენეს. მავანთ კანტონას საქციელი არც გაჰკვირვებიათ: მას შემდეგ, რაც ინგლისში დამკვიდრდა, მოედნიდან უკვე მეხუთედ გააძევეს. მსგავსი რამ ერიკს ადრეც ჩაუდენია: 1988 წელს საფრანგეთის „ოსერში" რომ თამაშობდა, თანაგუნდელისთვის ჩაუზელია წიხლი, რის გამოც მწვრთნელს მისთვის იდიოტი უწოდებია.

სათქმელი პირველმა ფეხბურთის ასოციაციამ თქვა,. მისმა მთავარმა აღმასრულებელმა გრემ კელიმ ხუთშაბათს გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ მომხდარს შეუძრწუნებია და რომ არა სმენია, მსგავსი რამ სხვაგანაც მომხდარიყვეს (?!). კანტონას თავისი უსაქციელობით თურმე მთელი ფეხბურთის ნათელი იმიჯისათვის ჩრდილი მიუყენებია, რის გამოც ასოციაციას ორი კვირის თავზე ახსნა-განმარტება უნდა მოახსენოს. გიჟმაჟი ფრანგი გაკიცხა პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის თავკაცმა გორდონ ტეილორმაც. მან დანანებით შენიშნა, რომ ასოციაციას ერიკი შარშან წლის საუკეთესო მოთამაშედ შეურაცხავს. ხელი გამოიღო პოლიციამაც, რომელმაც ფეხბურთელს საქციელში აღმაშფოთებელი ხულიგნობა დაინახა. პარასკევს კი კლუბმა გამოაცხადა განაჩენი: „იუნაიტედი" კანტონას დისკვალიფიკაციას აძლევს წლის ბოლომდე და აჯარიმებს ორი კვირის ჯამაგირით, რაც დახლოებით 20 ათასი გირვანქა ყოფილა (როგორც გაირკვა, მეტის დაქვითვის უფლება კლუბს კონტრაქტის თანხმად არა ჰქონია). კლუბმა სინანული გამოთქვა მომხდარის გამო, კანტონამ კი ბოდიში მოიხადა.

კლუბს მყის გამოეხმაურა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია. მისმა პრეზიდენტმა კლოდ სიმონემ განაცხადა, რომ კანტონას ნაკრების კაპიტნობიდანაც გადააყენებინებს და ნაკრებიდანაც დაათხოვინებს. ნაკრების მწვრთნელმა ემე ჟაკემ კი თქვა, თუ კლუბში ვერ ითამაშებს, მაშ ნაკრებში როგორღა მივიწვიო ისრაელთან და სლოვაკეთთან სათამაშოდო.

მღვრიე წყალში მყის ღლავის დაჭერა სცადეს იტალიის „ინტერმა" და ესპანეთის „ბარსელონამ". ორივე შეეხმიანა ინგლისელებს და შესთავაზა, რაკილა თქვენ არ ათამაშებთ, იქნებ ჩვენთვის გეთხოვებინათ კანტონაო. მაგრამ ფეხბურთის ასოციაცია, ეტყობა, ასე არ ფიქრობს და საქმის ფიფასათვის გადაცემას აპირებს, რათა ამან მარადონას მსგავსად კანტონასაც მთელს მსოფლიოში აუკრძალოს ფეხბურთის თამაში. ბრიტანელებს სწამთ, რომ ფეხბურთის საკეთილდღეოდ სწორედ რომ ასე უნდა გაკეთდეს.

ამასობაში შაბათ-კვირას თასის მეოთხე წრეც მოეწყო. დიდი სათასო ტრადიციების პატრონი „ბერნლი" გაუძალიანდა „ლივერპულს" და საქმე გადასათამაშებლად გაუხადა. კანტონას დამსჯელ კლუბს მეორე ჯგუფის წარმომადგენელ, ოლონდაც უელსურ „რექსჰემთან" მოუხდა შებმა უჭიუზოდ (დაშავებულია) და უკოულოდ (თასის ამ გათამაშებაში უკვე „ნიუკასლის" სახელით). უელსელები დაწინაურდნენ 1:0, მაგრამ ბოლოს საშინლად წააგეს. „ნიუკასლმაც" რექსჰემელი თანაჯგუფელი და თანამემამულე „სუონსი" დაამარცხა. აქ სამივე გოლი კიტსონმა გაიტანა. „საუთჰემპტონი" იხსნა მეკარე გრობელაარმა, ვინაც პენალტი მოიგერია.

კვირას სტუმრად თავიდან კი აგებდა, მაგრამ მაინც მოიგო „სპურზმა": კლინსმანმა ორი გოლი შეაგდო, შერინგემმა და მებოთმა — თითო. წინადლით თასიდან გავარდნილმა, მაგრამ პირველობაში მოლიდერე „ბლექბერნმა" შირერის სამი გოლით დამაჯერებლად გაიმარჯვა და „მანჩესტერ იუნაიტედს" 4 ქულითა და ერთი თამაშით უსწრებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბლექბერნი | 25 | 18 | 4 | 3 | 56-20 | 58 |
| მანჩესტერ იუნ. | 26 | 16 | 6 | 4 | 47-21 | 54 |
| ლივერპული | 25 | 13 | 7 | 5 | 44-20 | 46 |
| ნიუკასლი | 25 | 12 | 9 | 4 | 43-26 | 45 |
| ნოტინგემი | 26 | 13 | 6 | 7 | 39-28 | 45 |
| ტოტენჰემი | 25 | 11 | 6 | 8 | 41-36 | 39 |
| ლიდსი | 24 | 10 | 7 | 7 | 33-27 | 37 |
| შეფილდი | 26 | 9 | 9 | 8 | 33-32 | 36 |
| უიმბლდონი | 25 | 10 | 5 | 10 | 31-40 | 35 |
| ნორვიჩი | 25 | 9 | 7 | 9 | 24-27 | 34 |
| არსენალი | 26 | 8 | 9 | 9 | 29-28 | 33 |
| ჩელსი | 25 | 8 | 7 | 10 | 32-35 | 31 |
| ასტონ ვილა | 26 | 7 | 10 | 9 | 32-35 | 31 |
| მანჩესტ. სიტი | 25 | 8 | 7 | 10 | 33-39 | 31 |
| საუთჰემპტონი | 25 | 6 | 11 | 8 | 35-40 | 29 |
| კრისტ. პალასი | 26 | 6 | 9 | 11 | 19-26 | 27 |
| ევერტონი | 25 | 6 | 9 | 10 | 25-33 | 27 |
| ქუინზ პარკი | 24 | 7 | 6 | 11 | 35-44 | 27 |
| ქოვენთრი | 26 | 6 | 9 | 11 | 23-43 | 27 |
| ვესტ ჰემი | 25 | 7 | 4 | 14 | 22-32 | 25 |
| იფსვიჩი | 26 | 5 | 5 | 16 | 29-53 | 20 |
| ლესტერი | 25 | 4 | 6 | 15 | 23-43 | 18 |

## ესპანეთი

# «ლოგრონიესმაც» მოიგო!

XIX ტური. 28-29 იანვარი. ბარსელონა — ატლეტიკი 1:0, ბეტისი — რეალი 0:0, სელტა — ლოგრონიესი 0:1, ლა კორუნია — ალბასეტე 2:1, ვალიადოლიდი — სპორტინგი 2:0, ოვიედო — რასინგი 3:1, სოსიედადი — ესპანიოლი 2:0, ტენერიფე — კომპოსტელა 2:0, ვალენსია — სარაგოსა 3:0, ატლეტიკო — სევილია 2:2

მთელი პირველი წრე „ლოგრონიესს" არაფერი გაუკეთებია და აი, ბოლო ტურში ქვეყანა გააკვირვა და სტუმრად (!) „სელტა" დაამარცხა. ამან ისე შეაშფოთა ბოლოდან მეორე „ვალიადოლიდი", რომ აიღო და თავადაც მოიგო. რაც შეეხება ლიდერებს, აქ „სარაგოსას" შავი დღე გაუთენდა და ახლა ისეთი პირი უჩანს, ჩემპიონობისთვის ისევ ბოლო წლების სამი ფავორიტი იბრძოლებს. შაბათს „ბარსელონა" ბევრს ეცადა, მაგრამ მხოლოდ 84-ე წუთზე დაძლია ბასკების წინააღმდეგობა: გუნდი ისევ კაპიტანმა ბაკერომ იხსნა. ასევე მინიმალურად მოიგო „დეპორტივომ", „რეალი" კი სევილიაში ფრეს დაჯაბულდა და მართალია ორივე გუნდს მოეცარა ხელი, სტადიონზე ატმოსფერო მაინც საზეიმო იყო: მატჩის წინ ფეხბურთიდან გააცილეს ერთ დროს „რეალის" შესანიშნავი ნახევარმცველი, ბოლო დროს კი „ბეტისში" მოთამაშე რაფაელ გორდილიო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 19 | 12 | 5 | 2 | 46-15 | 29 |
| ლა კორუნია | 19 | 10 | 7 | 2 | 33-17 | 27 |
| ბარსელონა | 19 | 10 | 5 | 4 | 32-23 | 25 |
| სარაგოსა | 19 | 11 | 3 | 5 | 31-24 | 25 |
| ბეტისი | 19 | 7 | 9 | 3 | 25-10 | 23 |
| სევილია | 19 | 8 | 5 | 6 | 25-20 | 21 |
| ატლეტიკი | 19 | 8 | 5 | 6 | 17-18 | 21 |
| ესპანიოლი | 19 | 6 | 8 | 5 | 25-18 | 20 |
| ტენერიფე | 19 | 7 | 6 | 6 | 27-21 | 20 |
| სოსიედადი | 19 | 5 | 8 | 6 | 23-21 | 18 |
| ვალენსია | 19 | 6 | 6 | 7 | 26-25 | 18 |
| კომპოსტელა | 19 | 6 | 6 | 7 | 20-27 | 18 |
| ოვიედო | 19 | 6 | 5 | 8 | 18-21 | 17 |
| სელტა | 19 | 5 | 7 | 7 | 17-27 | 17 |
| ალბასეტე | 19 | 4 | 7 | 8 | 25-34 | 15 |
| სპორტინგი | 19 | 4 | 7 | 8 | 21-34 | 15 |
| ვალიადოლიდი | 19 | 4 | 7 | 8 | 13-33 | 15 |
| ატლეტიკო | 19 | 5 | 4 | 10 | 29-31 | 14 |
| რასინგი | 19 | 5 | 4 | 10 | 19-27 | 14 |
| ლოგრონიესი | 19 | 1 | 6 | 12 | 6-32 | 8 |

## ფეხბურთის რუკასთან



ზიმბაბვეში, აფრიკის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მასპინძლებმა აუტსაიდერ კამერუნს 4:1 მოუგეს. კამერუნელებს ჰარარეში 244 გულშემატკივარი გაჰყოლია, რომლებიც თამაშის შემდეგ, პარასკევამდე, უცხო ქვეყანაში თავშესაფრის გარეშე ჩარჩნენ. თურმე ზიმბაბვედან სტუმართა სამშობლომდე თვითმფრინავი მხოლოდ პარასკევს გაფრინდება. საქმეში ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაციის ჩინოსანი ლაზარუს მუშამანი ჩაერია და როგორც თავად თქვა აფრიკული სტუმართმოყვარეობით და კეთილი გულით უცხოელებს ღამის გასათევი უშოვნა.

საფრანგეთში სამშაბათს განახლდა სასამართლო, რომელიც ბასტიის „ფურიანის" სტადიონზე 1992 წელს მომხდარი ტრაგედიის მიზეზს იკვლევს. როგორც ამბობენ, ყველაზე ხანგრძლივი ჯდომა — 2 წლით, ჩანგრეული დროებითი ტრიბუნის ამშენებელს და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელს მოუწევთო. პროცესი კორსიკელთა დიდ ინტერესს იწვევს, რასაც ისიც ადასტურებს, რომ სასამართლოს შენობას განხილვის დღეს უამრავი ხალხი მიაწყდა. ფრანგ პოლიციელებს შეკრებილთა დასაშლელად თავ-უბა დაალეწეს. ჩხუბს ცხადია სასჯელი მოჰყვა, რომელიც ყველაზე მკაცრად „სენტ-ეტიენის" პოლონელ ლეგიონერს სვერჩევსკის შეეხო — იგი შუა მარტამდე ველარ ითამაშებს. ლიდერმა „ნანტმა" კი ლიგის თასზე შინ „ბასტიასთან" 0:1 წააგო და გავარდა. ნანტელებმა წაგება იმით ახსნეს, ყველა შეჯიბრებაში მთელი ძალით თამაში არ შეგვიძლიაო.

ვენაში 24 მაისს ჩემპიონთა თასის ფინალი გაიმართება, პარიზში 10 მაისს — თასების თასის: დაადგინა უეფამ.

საუდის არაბეთის მეკარეს მაიად აბდულას ნაკრებში 147-ჯერ უთამაშია, რაც აქამდე რეკორდად ცნობილ, ინგლისელი პიტერ შილტონის 125 თამაშს დიდად აღემატება. ეს ფიფა-ს ექსპერტებმა დაადგინეს, რომლებმაც ოქმები გადაქექეს და დაადასტურეს, რომ აბდულა სწორედ ის კაცია, სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელით და გვარით რომ თამაშობდა, რის გამოც თავზა თავადაც აერია და სხვასაც აურია.

ბრაზილიაში „ფლამენგომ" ურუგვაის ნაკრებთან 1:1 ითამაშა. მატჩი საინტერესო იმით გახლავთ, რომ ტორსიდამ მოედანზე „ბარსელონიდან" ახალდაბრუნებული რომარიო იხილა და... 75-ე წუთზე სტვენით გააცილა.

BEAU (9) MONDE

## რომარიო

რომარიო დე სოუზა ფარია. დაიბადა 1966 წლის 29 იანვარს რიო დე ჟანეიროში.
სიმაღლე 167 სმ, წონა 73 კგ
კლუბები: „ოლარია", „ვასკუ და გამა", „პსვ ეინდჰოვენი", „ბარსელონა", „ფლამენგო".
მიღწევები: 1987, 1988 — რიოს შტატის ჩემპიონი, 1989 — კოპა ამერიკას მფლობელი, 1989, 1991, 1992 — ჰოლანდიის საუკეთესო ბომბარდირი. 1994 — ესპანეთის ჩემპიონი და ბომბარდირი, 1994 — მსოფლიოს ჩემპიონი.




# გზა შინისაკენ

## როგორ გაათხოვა «ბარსამ» დიდი ბრაზილიელი რიოში

„თქვენ, ჩვენ, მოთამაშეები, ყველა, უკლებლივ ყველა პიროვნებები ვართ და, ამდენად, ვაღიარებთ რა ღვთიურ საწყისს, უნდა გვესმოდეს, რომ სრულყოფილებაზე ჩვენს წარმოდგენას და მიწიერს შორის სხვაობა გარდაუვალია." — ეს იოჰან კრუიფის წიგნის „ჩემი ფეხბურთელები და მე" პირველი წინადადება გახლავთ. ამით განსაზღვრულია მსოფლმხედველობა კაცისა, რომელმაც 1993 წელს თავის გუნდში, „ბარსელონაში" მიიწვია რომარიო დე სოუზა ფარია. მაშ ასე, კრუიფი ვერასოდეს იქნება კმაყოფილი, რადგან როგორც „ნოუ კამპზე", ასევე ნებისმიერ სხვა სტადიონზე სავსებით უნაკლო ფეხბურთელს ვერ ნახავს. რომარიომაც თავისი ადგილი მოკვდავთა შორის უნდა ეძებოს. აქ კი, ცოდვილ მიწაზე, საშინელი, ფარული და აშკარა კონკურენციაა. — იოლად წინ არავინ გაგატარებს.

— ეს რა შტერული ტრანსფერია! — შესძახა სტოიჩკოვმა, როდესაც შეიტყო, რომ ბრაზილიელი „პსვ ეინდჰოვენიდან" მათთან, „ბარსელონაში" გადაყავდათ და თავდასხმაში მისი განუსაზღვრელი ბატონობა შესაძლოა შეზღუდულიყო. ასეთ ეპიზოდს იგონებენ: „ნოუ კამპზე" „ლოგრონიესი" სტუმრობს. რომარიო და სტოიჩკოვი ერთად არიან მოედანზე. ბურთს რომარიო იღებს და ხუთ მეტოქეს დრიბლინგით იშორებს, შემდეგ კი უხერხული მდგომარეობიდან კარში დარტყმასაც ლამობს. „ლოგრონიესის" დაწოკბულ მცველებს ბულგარელის არსებობა ავიწყდებათ და ოღონდ კი ბურთი მისკენ გაგორდეს, გოლი გარდაუვალია, მაგრამ... სტოიჩკოვი ფეთიანივით იწყებს ხელების შლას და რაღაცას ყვირის. ამის შემხედვარე, დამნაშავეც ღრიალის იმტაზე მოდის და თანაგუნდელისკენ მიექანება. „ტკბილიტყვაობის" შემდეგ ფეხბურთელებმა ერთმანეთი გადაკოცნეს და კვლავ თამაშში ჩაერთნენ.

რომარიო თუ სტოიჩკოვი? მათი ნახვა იანვრამდე ძნელი არ იყო. ორივენი ერთად თამაშობდნენ გუნდში, რომლის მატჩებს წამდაუწუმ გადასცემდა „ოსტანკინო", რომ არაფერი ვთქვათ მონატრებულ „იბერვიზიაზე". გულშემატკივარსაც შეეძლო ეცქირა და ორი ვარსკვლავი ერთმანეთს შეედარებინა. ვფიქრობთ, დასკვნა საყოველთაო იყო, მაგრამ ორივე [illegible] და ჭირვეულ ფეხბურთელებს, რომ განეკუთვნება, ყველამ იცის. ისინი ალბათ, სწორედ ერთნაირმა ზნემ დააახლოვა. სულ ახლახანს სამშობლოში დაბრუნებულმა ბრაზილიელმა რიოში გამართულ პრეს-კონფერენციაზე თქვა კიდეც, ევროპაში სტოიჩკოვისნაირი მეგობარი მეორე არ მეგულებაო. როგორც ჩანს, მათი მეგობრობა მართლაც ნაღდია, თორემ განა ცოტა ხნის წინ არ იყო, სტოიჩკოვმა და მისმა კომპანიონმა, ვინმე არაბმა, გვარად იაფამ რომარიოს „მერსედესი" რომ მიჰყიდეს, შემდეგ კი გაირკვა, რომ ეს მანქანა იმ ბანკში დაეგირავებინათ, რომელსაც ვალს ვეღარ უხდიდნენ და ბანკიც რომარიოს დასდევდა, ეგ მანქანა ჩემიაო.

იდეალისტ კრუიფს დავუბრუნდეთ: „რომარიოსადმი „ბარსელონას" ინტერესმა იგი რადიო-ტელევიზიისა და ჟურნალ გაზეთების უმთავრეს პერსონაჟად აქცია. ესეც საკმარისია, რათა წარმოვიდგინოთ ამ მოთამაშის მნიშვნელობა, მნიშვნელობა პიროვნებისა, რომელსაც მთელი მსოფლიო საგანგებო, სხვათაგან გამორჩეულ ფიგურად აღიარებს.

რომარიო მართლაც განსაკუთრებული, უაღრესად ტექნიკური და თან გოლის გამტანი ფეხბურთელია. ეს ორი თვისება უმთავრესია ფეხბურთში, მაგრამ ასე აშკარად ერთ ადამიანში თავმოყრილი დიდი იშვიათობაა. რომარიოს მსგავსნი, რომლებიც თამაშსაც ქმნიან და გოლიც გააქვთ, ცოტაა.

მეორე მხრივ, გამოცდილება მარწმუნებს, რომ გოლეადორები იღბლის ხალხია. მათ შეუძლიათ ერთიმეორის მიყოლებით გაიტანონ, შემდეგ კი გვალვის პერიოდი დაუდგეთ. ამას ვერც რომარიო გაექცა, მაგრამ, ხანამ მაყურებელს მისი გოლები სწყურია, იგი მათ წყურვილს საგოლე პასებით კლავს და ეს იმიტომ, რომ მოედანზე ადგილის შერჩევა იცის. ის ყოველთვის მეკარეთა რისხვაა. მსოფლიოს ყველა მცველს ეშინია, რომ ნებისმიერ წამს რომარიო დაუსხლტება და თამაშის ბედს გადაწყვეტს. ბოლოს და ბოლოს იღბალი მისთვის მოთმინების ამბავია. ასეთი ფეხბურთელები როგორც პარტნიორთათვის, ასევე მწვრთნელისთვის დიდი შენაძენია.

გარკვეულწილად იგი ბუტრაგენიოს ჰგავს, მე კი ყოველთვის ვამბობდი, რომ ბუტრაგენიოს, სხვების მუხლეგუნით გაყრა რომ მომიწიოს, გუნდში ადგილს ყოველთვის მოვუძებნიდი. ამ ორ ადამიანს მეურვეთა ჰიპნოზირება ძალუძთ. მეტოქის მოსატყუებლად მათთვის საკმარისია ერთი კვადრატული მეტრიც, რომელსაც მხოლოდ თავად ამჩნევენ. ამას ფინტი და კარისკენ გარღვევა მოსდევს. თუ ამ გზაზე მათ არ წააქცევენ, გოლია, წააქცევენ და — პენალტი. სხვებს საამისოდ დიდი სივრცე სჭირდებათ. თუმცა რომარიოსაც იგივე მოსდის, რაც ადრე სხვა, დიდი ნიჭით დაჯილდოებულთ მოსვლიათ. მათზე ასე ამბობენ: „ისინი კარგი ფეხბურთელები, მაგრამ მძიმე ხასიათის ადამიანები არიან." ეს იმ ხალხის აზრია, ვინც მოთამაშეთა ცხოვრების გზას არ იცნობს. აქ როგორც სპორტულ, ასევე პირად ცხოვრებას ვგულისხმობ. მე მწამს, რომ ყველაფერი იმაზე დგას ვინ და როგორ აღზარდა პიროვნება..."

ამ თხუთმეტი-ოცი წლის წინ რომარიო იმ ბიჭებში ერია, რიო დე ჟანეიროს ერთერთ გამზირზე შუქნიშნის განათლებაზე ჩამწკრივებულ მანქანებს რომ მიცვივდებოდნენ და შუშებს უწმენდნენ. შემდეგ ბიჭები ქუჩებსა და ზღვის ნაპირს მოედებოდნენ და ბურთაობდნენ. როგორც კი მამამ შენიშნა, ჩემს ვაჟს თამაში ეხერხებაო, ერთ უმნიშვნელო კლუბ „ოლარიაში" მიიყვანა. სწორედ აქ, რომელიღაც შეხვედრაში ოთხი გოლის გატანისას შენიშნა ჭაბუკი „ვასკუ და გამას" მწვრთნელმა. ეს დიდი კარიერის დასაწყისი იყო. „ვასკუ და გამაში" რომარიომ 123 მატჩში 73 ბურთი შეაგდო და ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში ამოჰყო თავი. 1988 წელს სეულში ოლიმპიადა იმართებოდა. ის ოლიმპიადა ქართველებსაც კარგად გვახსოვს. მაშინ „დიადი საბჭოეთის" შესაბამის ნაკრებში ჩვენი გელა კეტაშვილი თამაშობდა და ოქროთი დაგვიბრუნდა კიდეც. ფინალში გელა და მისი საბჭოთა თანაგუნდელები ბრაზილიას შეხვდნენ და ქართველ ფეხბურთელს სწორედ რომარიოს წინააღმდეგ მოუწია თამაში. რომარიომ სეულში გაიბრწყინა. ევროპის უდიდეს კლუბთა თავკაცებმა ბრაზილიელს თვალი დაადგეს. მასთან ერთად სასურველთა სიაში მოხვდნენ მეკარე ტაფარელი, მცველი ჟორჟინიო, თავდამსხმელი ბებეტო, ზამბიელი ვარსკვლავი კალუშა და სხვანი. ოლიმპიადა რომ დამთავრდა, რომარიომ ჩემოდნის ჩალაგება ძლივს მოასწრო, ისე ამოჰყო თავი ჰოლანდიაში. იგი „პსვ ეინდჰოვენის" წევრი გახდა. ახალ და ძველ კლუბებს შორის მოლაპარაკება რთულად წარიმართა, მაგრამ პსვ-მ საქმეში თავისი სპონსორი, ძლევამოსილი ფირმა „ფილიპსი" ჩართო და იმდენი ქნა, ბრაზილია კინაღამ ამ ფირმის წარმომადგენლობის გარეშე დასტოვა. „ფილიპსის" სამხრეთამერიკელ პარტნიორებს ეს არ აწყობდათ, ამიტომაც ყველაფერი მოგვარდა. ფირმამ კლუბს ტრანსფერის თანხის ნახევარი, 3 მილიონი დოლარი გადაუხადა. ამით რომარიოს ჰოლანდიური ხუთწლეული დაიწყო. ხუთწლეული რთული გამოდგა. ერთი მხრივ, ფეხბურთელმა პირველ სამ სეზონში საოცარ შედეგს მიაღწია, სამივეჯერ ბომბარდირი გახდა, თანაც ისე, რომ მეორე ადგილზე გასული გვარიანად ჩამოიტოვა. 92-ში დაშავდა, რის გამოც ბერხკამპმა გაუსწრო, თუმცა მოშუშდა თუ არა, თავი ჩემპიონთა ლიგაში ისახელა. მეორე მხრივ, მის მწვრთნელებთან და თანაგუნდელებთან ურთიერთობას სამაგალითომდე ბევრი აკლდა. „ეინდჰოვენში" რომარიომ სამი მწვრთნელი მოინელა, გუს ჰიდინგი, ბობი რობსონი და ჰანს ვესტერჰოფი. მას ყველასთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. მისი მთავარი პრობლემა შვებულებიდან დროულად დაბრუნება და ჰოლანდიურ რეჟიმთან დაკავშირებული სხვა წვრილმანები გახლდათ. ამასთან, იგი არც პრესაში თანაგუნდელებზე აუგის თქმას ერიდებოდა, რითაც ცხადია, ბევრი მოიმდურა. მისი გაღიზიანების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ერვინ კუმანი იყო. მასზე ბრაზილიელმა იმდენი ილაპარაკა, კუმანს რომ შესძლებოდა ლეგიონერს იმთავითვე მოიშორებდა. „გუნდი არასოდეს უნდა იყოს დამოკიდებული ერთ ფეხბურთელზე — უთხრა რომარიომ „უორლდ სოკერის" კორესპონდენტს — ასე იყო, როდესაც მე „ეინდჰოვენში" ვთამაშობდი, ეს კი ძალიან ცუდია."

მას ბევრჯერ დაუჩივლია, ჰოლანდიაში, ისევე როგორც ყველა პატარა ქვეყანაში, კლანური აზროვნება ბატონობს და „ეინდჰოვენში" ასეთი კლანის თავკაცი ერვინ კუმანიაო. ბედს, მოგეხსენებათ, ხუმრობა უყვარს. ჰოლანდიური კლუბიდან რომარიო გადავიდა „ბარსელონაში" სადაც ერვინის [illegible] თანაგუნდელი გახდა...

„იოჰან კრუიფი ისეთი მწვრთნელია, მე რომ მჭირდება — განაცხადა კატალონიის დედაქალაქში ახალჩასულმა თავდამსხმელმა — მას ჩემი სწამს და წვრილმანებს თითზე არ იხვევს." საქმე, თურმე ნუ იტყვით, ის ყოფილა, რომ კრუიფს მოკლე შვებულებაში გაშვებისას მისთვის უთქვამს — ოთხ ოფიციალურ დღეს ორიც ჩემგან დაამატე და მერე დაბრუნდიო. „ბარსელონას" წევრობა ძალიან იოლია — თვლიდა რომარიო — აქ ჩვენგან უბრალოდ თამაშს ითხოვენ და მეტს არაფერს."

ყველაფერი საუცხოოდ აეწყო, მწვრთნელს შეგირდი მოსწონდა და თავიდან გუნდში თავმოყრილ ოთხ უცხოელს რიგრიგობით ათამაშებდა (ყველას ერთდროულად გაყვანის ნება არ ჰქონდა), თანდათან თვით მიქაელ ლაუდრუპს შეელია, რომარიო კი კუმანთან და სტოიჩკოვთან ერთად „ბარსას" მთავარი ფიგურა გახდა. შეგირდიც, როგორც მისივე სიტყვიდან ჩანს ხელმძღვანელით კმაყოფილი იყო, მაგრამ...

ბზარი მაშინ გაჩნდა, ბრაზილიელი წლეულს მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდა და საკარნავალოდ სამშობლოში ჩასული დროსტარების ისეთ იმტაზე მოვიდა, „ბარსელონაში" დაბრუნება გვარიანად დააგვიანა. კრუიფი სულ ცოფებს ყრიდა, მაგრამ საბოლოოდ ძე ცთომილს მაინც შეუნდო. ამ ამბიდან გამოხდა მხოლოდ ხუთი თვე და რომარიომ მაინც მიატოვა კატალონია. იგი „ფლამენგოში" გადავიდა. დაბრუნებულ ვარსკვლავს თანამემამულეებმა საოცარი შეხვედრა მოუწყვეს. აეროპორტიდან მოყოლებული, რიო დე ჟანეიროს ქუჩებში აღტაცებული ხალხი ფეხბურთელის სახელს გაიძახოდა. ამ მოვლენის პირდაპირი რეპორტაჟი სხვადასხვა ტელე და რადიო არხებით გადაიცემოდა. რომარიო რიოშია, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი შინ დაბრუნდა! ოფიციალურად კი საქმე მთლად ასე არ ყოფილა. „ბარსელონას" იგი „ფლამენგოსთვის" კი არ მიუყიდია, არამედ სეზონნახევრით უთხოვებია. ბრაზილიურმა კლუბმა ძლიერაც რომ ისურვოს, მოთამაშეს სხვას ვერ მიყიდის და თუ მსგავს რამეს გულში მაინც გაივლებს, ესპანეთში 7 მილიონი დოლარი შეექნება გადასარიცხი. რას იზამ, ბიზნესი ბიზნესია.

კრუიფს ვერც რომარიომ გაუმართლა. არც ის აღმოჩნდა მისებრ იდეალისტი, სრულქმნილებასთან მიახლოებას დაუსრულებლად რომ ლამობს. „პელეს, მარადონას და კრუიფს შემცვლელი არ ჰყავთ — განუცხადებია მას ერთხელ — რობერტო ბაჯო, მიქაელ ლაუდრუპი და მე დიდი ფეხბურთელები ვართ, რომელთაც თითქოს შეგვიძლია ამ სამეულამდე ამაღლება, მაგრამ მე უკვე ოცდარვა წლის ვარ, ბაჯო ოცდაშვიდის, მიქაელი ოცდაათის, ისინი კი მეტისმეტად ახალგაზრდანი ბრწყინავდნენ. მე ვერასოდეს ვითამაშებ პელეს ან მარადონას მსგავსად. მათი სიმაღლე ჩემთვის მიუღწეველია."

ის კი არადა, რომარიო ნაკრებსაც კინაღამ დაემშვიდობა. იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის წინ მან ტრავმა მიიღო და ამიტომაც იქ ოთხ თამაშში მოედანზე მხოლოდ 65 წუთი დაჰყო, ისიც თავი დიდად ვერ გამოიჩინა. მაშინ მწვრთნელი ლაზარონი იყო. ჭირვეულ კაცს თავიდან არც ახალი ხელმძღვანელის, პარეირას ხელში გაუმართლა. როდესაც პარეირამ მას სათადარიგოთა სკამისკენ მიუთითა, რომარიო კინაღამ გაგიჟდა. „ბებეტო და კარეკა ჩემი ჩემოდნის თრევის ღირსნი თუ არიანო" — თქვა ვარსკვლავმა თანაგუნდელ კონკურენტებზე და ნაკრების ტექნიკური დირექტორის მარიო ზაგალოს ისეთი წყრომა დაიმსახურა, რომ არა კლუბში მისი შემდგომი წარმატებები და პარიერა, ქვეყნის მთავარ გუნდს ვერასდროს იხილავდა. მის გარეშე მაინც ვერ გაძლეს და მოიიწვიეს. შემდეგ კი ამერიკაში მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა...

ილია ბაბუნაშვილი





საუკეთესო მეგობარი ხრისტო რომარიომ ბარსელონაში დატოვა, თავად კი რიოში გახარებულ გულშემატკივრებს უმღერის

კალათბურთი

# ინგლისი, პოლონეთი, საქართველო?

ევროპის 1997 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირამდე, 24 მაისს ბირმინგემში რომ დაიწყება, ჯერ დიდი დროა, მაგრამ სპეციალისტებსა და მოთამაშეებს უკვე მივმართეთ ერთი კონკრეტული კითხვით: შემდეგ ეტაპზე გასვლის რა შანსი აქვს საქართველოს ნაკრებს?

**როლანდ ხომერიკი**
**ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი**



თავიდანვე ვიტყვი, რომ საქართველოს ნაკრებს შემდგომ ეტაპზე გასვლის კარგი შანსი აქვს. ახლა კი მეტოქეებზე.

ინგლისი საკმაოდ კარგი გუნდია. ამ ქვეყანაში კალათბურთი არ იყო განვითარებული, მაგრამ ბოლო 5-6 წლის განმავლობაში დიდი ძვრები მოხდა. ამას ადასტურებს ინგლისის წარმატებები ევროპის ჩემპიონატებში, იქაური ახალგაზრდებიც და კადეტებიც კარგად გამოდიან. შარშანწინ მოსკოვში ვნახე რუსეთ-ინგლისის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, რომელიც ჩვენმა მომავალმა მეტოქემ ერთი ქულით მოიგო. რა თქმა უნდა, ინგლისი ჩვენს გუნდზე გაცილებით ძლიერია, ძირითადად ზანგებითაა დაკომპლექტებული. მოგების იმედი არა მაქვს. შანსებს 70-30-ზე შევაფასებდი მათ სასარგებლოდ.

რეიტინგის მიხედვით პოლონეთიც ძლიერი გუნდია. მუდამ ხვდება ევროპის 6-8 უძლიერეს გუნდში. შარშან კარგი შედეგები ჰქონდა. პოლონეთის საკალათბურთო სკოლის ამბავი კარგად ვიცი და უფრო მეტი შანსი გვაქვს, ვიდრე ინგლისთან, დაახლოებით 40-60-ზე პოლონეთის უპირატესობით. მაინც გამოცდილი გუნდია, ბევრს თამაშობენ და საკალათბურთო მეურნეობაც აწყობილი აქვთ.

დანია ევროპაში ნაკლებად ცნობილი გუნდია. კალათბურთი იქ მაინცდამაინც განვითარებული არ არის. აქ ჩემი პროგნოზები 70-30-ზეა. ჩვენ მოვიგებთ.

რატომღაც ყველას, და მათ შორის მეც მეგონა, რომ ლუქსემბურგი სუსტი იქნებოდა. გადავხედე შარშანდელ მაჩვენებლებს და მიმაჩნია, რომ ეს ნაკრები მეტოქეობას გაგვიწევს. თუმცა ჩვენებს 60 შანსს ვაძლევ 40-ის წინააღმდეგ.

უელსი ძალზე სუსტად გამოიყურება, უფრო ზუსტად, გამოიყურებოდა შარშან. ვგონებ, წლეულს არაფერი შეიცვლება, თუ ვინმე ზანგები არ ჩამოიყვანეს და საჩქაროდ მოქალაქეობა არ მისცეს. მაინც ვფიქრობ, რომ 100-დან ყველა შანსი ჩვენია.

**ნოდარ ქორქია**
**ნაკრების მეორე მწვრთნელი**



ევროპაში იმდენ ხანს არ გავსულვართ, რომ ზუსტი წარმოდგენა არა მაქვს, რა ხდება. ლუქსემბურგზე და უელსზე ორი აზრი არ არსებობს: ორივეზე ძლიერები ვართ და მოვუგებთ, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ჩვენთან დიდი ჩავარდნაა.

ხუთი წლის წინათ პოლონეთში ვთამაშობდი. კარგად მახსოვს იმდროინდელი პოლონური კალათბურთი. ევროპული მასშტაბებით საშუალო დონე იყო. დღევანდელი ნაკრების თამაში არ მინახავს. სამაგიეროდ, თვალს ვადევნებდი ორი იქაური კლუბის მატჩებს კორაჩის თასზე. თუ მათ მიხედვით ვიმსჯელებთ, პოლონური კალათბურთი წინ წასულა.

ინგლისი ძლიერი იქნება, რადგან კლუბები ძლიერი ჰყავს და კალათბურთის განვითარებისთვისაც ბევრს ირჯება.

ჩვენს მთავარ მეტოქედ დანიას მივიჩნევ. ვიცი, რომ გუნდი გამოირჩევა სიმაღლით. მის კლასზე ვერაფერს ვიტყვი. იქაურ საკლუბო დონეზეც ვერ ვიმსჯელებ: დანიური კლუბები წლეულს ევროთასებზე არ გამოსულან. საქართველოს ნაკრები პირველ მატჩს დანიასთან გამართავს და ყველაფერი აქ გადაწყდება. თუ საწვრთნელ პროცესს არაფერი მოაკლდება, დანიასთან მოგების იმედი მაქვს.

**გია სანაძე**
**„ვითა"**



რა თქმა უნდა, ჩვენი საკვალიფიკაციო ჯგუფი არ არის ისეთი ძლიერი, რომ გასვლა ძნელი იყოს. პირველ რიგში იმიტომ, რომ მასში არასაკალათბურთო ქვეყნებია თავმოყრილი.

როგორი შეიძლება იყოს, მხოლოდ პოლონეთი მყავს წარმოდგენილი. იგი უძლიერესია ჯგუფში და, ამდენად, ფავორიტი იქნება. ინგლისი მასზე ნაკლები უნდა იყოს, მაგრამ „შინაური კედლების" ფაქტორია გასათვალისწინებელი.

დანარჩენებზე ზუსტად ვერაფერს ვიტყვი. ალბათ, დაახლოებით ჩვენი დონე იქნება და ამიტომაც მხოლოდ მოგებაზე უნდა ვიფიქროთ. პოლონეთისა და ინგლისის შემდეგ საუკეთესო შანსი ჩვენ გვაქვს. ამას ნაკრების ყველა კანდიდატი ვგრძნობთ. თუ წესიერად მოვემზადებით, ჯგუფიდან გასვლაზე დიდი დაბრკოლებები არ უნდა შეგვექმნას.

**პაატა გურასპაული**
**„თბილისი"**



პოლონეთში ერთ წელიწადს ვთამაშობდი და მეტ-ნაკლებად ვიცი იქაური კალათბურთის დონე. მაღალი დონეა, მაგრამ არც იმდენად, რომ თამაში შეუძლებელი იყოს. ინგლისს, ვფიქრობ, ვერ მოვუგებთ. მათ კარგი მოთამაშეები ჰყავთ, ერთი-ორი ნატურალიზებული ამერიკელიც. რაც მთავარია, ტურნირი ინგლისში ტარდება და არა მგონია, მასპინძლებმა ხელიდან გაუშვან წარმატების შანსი. ჯგუფიდან გასვლისთვის ყველაფერს იღონებენ.

ლუქსემბურგი აუტსაიდერი იქნება, წესით, ეგრე უნდა იყოს. არც უელსს ეყოლება ძალიან ძლიერი გუნდი. ერთადერთი დანიაა, რომელიც, ჩემი აზრით, კარგ ნაკრებს ჩამოიყვანს. ამას ყველაფერს ყურმოკრული ამბების საფუძველზე ვამბობ, თორემ პირადად არცერთი მეტოქის თამაში არ მინახავს. მაგალითად, ისიც ჭორად ვიცი, რომ დანიელებს მეტად ტანმაღალი გუნდი ჰყავთ: რამდენიმე კალათბურთელის სიმაღლე 210 სანტიმეტრზე მეტია.

თუ ნაკრების 25 კანდიდატიდან ამოირჩევა 12 საუკეთესო, თუ ნიკოლოზ დერიუგინი კარგ ფორმაში იქნება და მომზადების ნორმალურ პირობებს შეგვიქმნიან, 90 პროცენტით შემდეგ ეტაპზე გავალთ.

ჩაიწერა
**მერაბ რატიშვილმა**

ვაჟთა საკვალიფიკაციო მატჩების თანადროულად, 22-28 მაისს საქართველოს ქალთა ნაკრები ბელგიის ქალაქ ნამიურში ევროპის 1997 წლის ჩემპიონატის ანალოგიურ ტურნირს ითამაშებს. საკვალიფიკაციო ჯგუფში ჩვენი ქალების მეტოქეები იქნებიან სლოვენია, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ბელგია, ფინეთი, დანია და შოტლანდია. აქედან 2 საუკეთესო გააგრძელებს ბრძოლას 6-გუნდიან შესარჩევ ჯგუფში, სადაც მატჩები 1996 წელს დაიწყება. შესარჩევი ჯგუფის სამი უძლიერესი ევროპის 1997 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდება. ჯერჯერობით უცნობია, შესარჩევი ჯგუფის მატჩები მიმოსვლით გაიმართება თუ ერთწრიან ტურნირად.

# ქალებს პატრონი გამოსჩენიათ

საქართველოს ქალთა ნაკრებს ბოლო წელიწადს უკვე მესამე ხელმძღვანელობა ჰყავს. ცოტა ხნის წინათ გუნდის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა ქუთაისის „მერობას" ხელმძღვანელი ნუგზარ ჭეიშვილი. ყოფილი მთავარი მწვრთნელი სტუ-დან როლანდ გელოვანი მეორე მწვრთნელად იმუშავებს. თანაშემწედ მოწვეულია ვანო მელაძე „მერობიდან". დანარჩენ ამბებს ნაკრების შესახებ ნუგზარ ჭეიშვილის საუბრიდან შეიტყობთ.

— „ამ დღეებში პირველად შევიკრიბეთ. სულ 4 ვარჯიში გავმართეთ. ინტენსიურ მზადებაზე ჯერ არ გადავსულვართ. 2-16 თებერვალს ქუთაისში ჩავატარებთ პირველ შეკრებას. მარტის შუა რიცხვებში მოსკოვში გავემგზავრებით, რუსეთის ლიგის კლუბებთან საწვრთნელ მატჩებს გავმართავთ. გუნდის საბოლოო დაკომპლექტება, ალბათ, აპრილის ბოლოს მოხდება, როცა კიევში ვითამაშებთ 8-გუნდიან საერთაშორისო ტურნირში.

ამჟამად ნაკრებში მოხვედრაზე 16 მოთამაშე აცხადებს პრეტენზიას. არჩევანს 10 მათგანზე შევაჩერებთ. ბოლო წლებში ნაკრები მთლიანად სტუ-ს კალათბურთელებით იყო დაკომპლექტებული. ახლა „გეოგრაფია" განივრცო: სტუ-ს წევრებთან ერთად კანდიდატებად ითვლებიან „მერობას", „უნივერსიტეტის", „დამოუკიდებელი უნივერსიტეტის" და „მართვეს" მოთამაშეები. მოსკოვის „დინამოში" ორთვიან სტაჟირებაზე გაგზავნილი გვყავს ლია ჩეკურიშვილი, რომელიც მალე შემოგვიერთდება. გვაქვს საბერძნეთში მყოფ მედეა მხეიძის იმედიც. როგორც შევიტყვეთ, მას არ მიუღია საბერძნეთის „საკალათბურთო მოქალაქეობა" და თუ მოისურვებს, გუნდში მოვიწვევთ. არა მგონია, ასეთ ოსტატს ნაკრების შემადგენლობაში მოხვედრაზე პრობლემები გაუჩნდეს.

მეტოქეების შესახებ ბევრი არაფერი ვიცით. ორი წლის წინათ ჩვენი ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში სლოვენიას ეთამაშა და წააგო. მართალია, ჩვენი გუნდი მას შემდეგ გადახალისდა (იმ შემადგენლობიდან 3-4 კალათბურთელი დარჩა), მაგრამ ალბათ არც სლოვენები გაჩერდებოდნენ ერთ ადგილზე. ვიცით, რომ ბოსნია-ჰერცოგოვინა ძლიერია. წარმოდგენა გვაქვს ფინეთისა და შოტლანდიის საკლუბო კალათბურთზე. ისინი ძლიერები არიან მოწვეული სპორტსმენების, ძირითადად რუსებისა და ესტონელების ხარჯზე. იგივე ფინეთსა და დანიასთან გვითამაშია, ოღონდ ბავშვთა დონეზე. კლასით არ გამოირჩევიან, ოღონდ ეს ორი წლის წინათ იყო. ამ ხანში თუ რამე შეიცვალა, ვერ გეტყვით. პესიმისტურად არა ვართ განწყობილი, პირიქით, წარმატების იმედი გვაქვს. სხვათა შორის, როცა კიევის გუნდი შეხვდა „მერობას" რონკეტის თასზე, თავში ხელი შემოვირტყით. არიქა, უკრაინაა და უმოწყალოდ მოგვიგებსო. როგორც გახსოვთ, აქ დაძაბულ ბრძოლაში დავმარცხდით, იქ კი მოვუგეთ. ამით იმის თქმა მსურს, რომ ყურებჩამოყრილად ყოფნას არავინ აპირებს.

ქალთა ნაკრების მომზადების ყველა ხარჯი ქუთაისის აეროპორტმა აიღო. აეროპორტის დირექტორი რეზო ჩაჩხიანი თავად მოვიდა ჩვენთან და ყოველმხრივი თანადგომა აღგვითქვა. იგი ნაკრების უფროსად დაინიშნა და გვპირდება, ნაკრებს მატერიალურად არ გაუჭირდებაო. ამ კაცის წყალობითაა, რომ თავისუფლად ვგეგმავთ საწვრთნელ-მოსამზადებელ პროცესს და არავისთან მათხოვრობა არ გვჭირდება. დიდ დახმარებას გვიწევს საქართველოს ხამარიტელთა კავშირი და მისი პრეზიდენტი მიხეილ მინდაძე. იგი გვაწვდის მედიკამენტებს და მრავალგვარ ალსადგენ საშუალებას. ჯერჯერობით, მეტი არაფრის თქმა არ შემიძლია. დანარჩენს მომზადების პარალელურად გაცნობებთ".

# «თბილისი» დაიშალა, «მერანსაც» იგივე ელის

საქართველოს ჩემპიონატი, რომლის განახლებაც მარტის დასაწყისისთვის არის დაგეგმილი, სულ ცოტა, ერთ გუნდს მოისაკლისებს: ფაქტიურად დაიშალა ბოლო სამი წლის ვიცე-ჩემპიონი „თბილისი".



უმუშევრად დარჩენილმა ვალერი ჯგერენაიამ ხარკოვს მიაშურა

„თბილისის" დაშლა შარშან იანვარში დაიწყო, როცა სათამაშო ფორმის პიკში მყოფმა კლუბმა დაკარგა ძირითადი სპონსორი. გუნდმა მაინც გააგრძელა არსებობა, თუმცა მოთამაშეებს 6 თვის განმავლობაში ხელფასი არ აეღოთ. ასე თუ ისე, „თბილისმა" მეორე ადგილზე დაასრულა ჩემპიონატი და წამსვე მორიგი დარტყმა მიიღო: საქართველოს შარშანდელმა საუკეთესო კალათბურთელმა ნიკოლოზ დერიუგინმა დატოვა გუნდი და სათამაშოდ სლოვაკეთში წავიდა. უფულო გუნდს ნელნელა შემოეცალნენ ლიდერები: გია სანაძე და ნუგზარ კოკოლიშვილი „ვითაში" წავიდნენ, მიხეილ ახვლედიანი — „კაქტუსში", ზაზა ცაგარეიშვილი — „დინამოში".

ახალი სეზონის წინ გუნდის ხელმძღვანელობამ ბოლოჯერ გაიბრძოლა, ხავსს მოეჭიდა და სპონსორი გამონახა. ამ უკანასკნელმა კი მხოლოდ კორაჩის თასის მატჩებისთვის შეძლო დახმარების გაწევა. ამის შემდეგ არჩილ ხელაშვილიც გაემგზავრა ამერიკაში სასწავლებლად და ვიცე-ჩემპიონს ხუთეულიდან მხოლოდ პაატა გურასპაული შერჩა. „თბილისმა" საქართველოს ჩემპიონატი დაიწყო და უმძიმესი პირობების მიუხედავად პირველი წრის შემდეგ მეოთხე იყო, დღეს კი ისეთ ფინანსურ გაჭირვებაშია, რომ იძულებულია უარი თქვას ჩემპიონატის გაგრძელებაზე.

გუნდის მთავარი მწვრთნელი ვალერი ჯგერენაია ხარკოვს გამგზავრებულა. ჯერჯერობით უცნობია, კვლავ კალათბურთში იმუშავებს იგი, თუ პროფესიას მიუბრუნდება (ჯგერენაია ექიმია). თუმცა, წასვლის წინ უთქვამს: ბაკმარისია გუნდს ოდნავი ხელშეწყობა მაინც გაუჩნდეს, რომ წამსვე დავბრუნდებიო.

„თბილისის" მოთამაშე-მწვრთნელმა, 44 წლის ნოდარ ქორქიამ გვითხრა, რომ აქტიურ სპორტს თავს დაანებებს და ეროვნული ნაკრების მეორე მწვრთნელად იღვაწებს. ყველაზე ცუდ დღეში კი პაატა გურასპაულია — ნაკრების კანდიდატისთვის აუცილებელია ვარჯიშები და თამაშები. თუ იგი უგუნდოდ დარჩა, ჩემპიონატის დაახლოებით 25 მატჩის გამოტოვება მოუწევს და პრაქტიკაც მოაკლდება. ამჟამად პაატა „ვითასთან" — ეროვნული ნაკრების ხერხემალთან ვარჯიშობს, თუმცა ამ კლუბში გადასვლას არ აპირებს. ისიც შევიტყვეთ, რომ გურასპაულს „დინამოში" ეპატიჟებიან...

მაგრამ, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის დებულების მიხედვით, ვერც გურასპაული და ვერცერთი თბილისელი სხვა გუნდში ვერ ითამაშებს: თუ მოთამაშემ ერთ გუნდში ითამაშა, იმავე სეზონში სხვა გუნდში ვეღარ გადავა. ეს დებულება ალბათ მაშინ შეიცვლება, როცა „თბილისი" ოფიციალურად განაცხადებს გუნდის დაშლის ამბავს. მოთამაშეებს კიდევ აქვთ პატარა იმედი, რომ ვინმე ღვთისნიერი ცოტათი მაინც შეეშველებათ, მაგრამ ი...დევ დასძენენ, ეს თეორიაა და პრაქტიკულად ამ საქმიდან აღარაფერი გამოვაო. რეალობაც ისეთია, რომ საქართველოს ვიცე-ჩემპიონის არსებობა ალბათ ქვეყნის საკალათბურთო ისტორიას ჩაბარდება.

გაირკვა, რომ ცუდი ფინანსური მდგომარეობა აქვს „მერანსაც" და ისიც დასაშლელადაა გამზადებული. თურმე კალათბურთელები უარს ამბობენ ამ გუნდში ასპარეზობაზე, აქაოდა, უხელფასოდ შრომა არა გვსურსო.

ხელბურთი

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ახალი მწვრთნელების გია ნარიმანიძის და ზაზა დოლიძის ხელმძღვანელობით ორკვირიანი შეკრება ჩაატარა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების წინ. [illegible] ორი თამაში 4-5 თებერვალს გაიმართება ლიტვაში იქაურ ნაკრებთან. ჩვენი ნაკრები ამ რანგის თამაშებს კვლავაც მხოლოდ სტუმრად ჩაატარებს, რასაც უსახსრობითა და ენერგეტიკული კრიზისით ხსნიან. გამგზავრების წინ გავესაუბრეთ ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს ზაზა დოლიძეს.

— რით ხელმძღვანელობდით ნაკრების შემადგენლობის შერჩევისას, ვის ეყრდნობოდით გუნდის ძირითადი ბირთვის ჩამოყალიბებისას?

# ეს უკვე მარცხის ტოლფასია

— სულ ორიოდე კვირის მოსულები ვართ ნაკრების სათავეში და იმთავითვე ასეთი საპასუხისმგებლო თამაშებისათვის მზადებამ მოგვიწია. ორი კვირა არაა საკმარისი იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს ნაკრების ძირითადი ბირთვი. შეკრებაზე სხვადასხვა მიზეზით ვერ მოხერხდა რამდენიმე კანდიდატის მოწვევა. ამჟამად გუნდი დაკომპლექტდა იმ ხელბურთელებით, ვინც ამ დროისთვის მეტნაკლებად აკმაყოფილებდა ჩვენს მოთხოვნებს. ნაკრების ხელმძღვანელობის სურვილია, რაც შეიძლება კარგი და კონკურენტუნარიანი გუნდი შეიქმნას, ასე რომ, რომელი ხელბურთელიც გამოიჩენს თავს, ნაკრებშიც ის მოხვდება, თავის გამოჩენის შანსს კი ყველას მივცემთ.

— კარგი გუნდის დასაყენებლად წლის განმავლობაში ხუთი-ექვსი მატჩის გამართვა, ცხადია, არ იკმარებს. არის თუ არა დაგეგმილი სხვა შეხვედრებიც ან საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა?

— სამწუხაროდ, ისევ და ისევ უსახსრობის გამო ეს ჩვენთვის დიდი ფუფუნებაა, ნაკრებს ხომ სპონსორი არ ჰყავს. სამომავლოდ სპორტის დეპარტამენტი დაგვპირდა დახმარებას, ამჟამად კი გაგვიჭირდება. საქართველოს ნაკრები ლიტვაში კლუბ „სტუ-შევარდენის" სახსრებით მიემგზავრება. თუ რამეს ვახერხებთ, მხოლოდ მეგობრების დახმარებით. ყველაფერს კი ვიღონებთ მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ სხვათა დახმარების გარეშე გაგვიჭირდება. რაც შეეხება საწვრთნელ-ამხანაგურ შეხვედრებს, ყოველი ოფიციალური მატჩის წინ ვცდილობთ რამდენიმე თამაშის გახერხებას, ახლაც ლიტვაში ჩასვლამდე დაგეგმილი გვაქვს მინსკში ბელარუსის ჩემპიონ „სკა-მინსკთან" და ბელარუსის ნაკრებთან თამაში.

— საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში შარშანაც მიიღო მონაწილეობა და ყველა შეხვედრა დიდი ანგარიშით დათმო. გაქვთ თუ არა იმის იმედი, რომ წელს მაინც მივაღწევთ რაიმე წარმატებას?

— როდესაც ორივე თამაშს სტუმრად ატარებ, ფაქტიურად ეს უკვე მარცხის ტოლფასია. ამიტომ მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მით უფრო, რომ როგორც გითხარით, ხეირიანად მოსამზადებლად დრო არ გვყოფნის. მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ უახლოეს მომავალში გამარჯვებებსაც ვიზეიმებთ.

ბოლოს კი გაგაცნობთ იმ შემადგენლობას, ლიტვას რომ გაემგზავრა: მეკარეები — ირაკლი კენჭაძე („მიმი" სამტრედია), თამაზ ქოქოსაძე („მამული" თბილისი); ხაზის მოთამაშეები — ირაკლი კეკელიძე („სტუ-შევარდენი"), ბიძინა მინდელი („მიმი"); გარემარბები — ზურაბ ურუშაძე („სტუ-შევარდენი"), კახა ღლონტი („მამული"); შუამარბები — ბექა ორჯონიკიძე („სტუ-შევარდენი"), ალექსანდრე ბოყოჩაძე („სტუ-შევარდენი"), კობა თორდია („ამირანი" თბილისი), ლევან გელაშვილი („ამირანი"), ვახტანგ მეიფარიანი („სტუ"), ტიტე კალანდაძე („მიმი"). მინსკში მათ შემატებიან მოსკოვში მოთამაშე ძმები ერიკ და რომა სივოპლიასოვები.

**ზვიად შათირიშვილი**

რეაათასიანები

ამ რუბრიკით შემოგთავაზებთ დედამიწის უმაღლეს მწვერვალებზე პირველასვლების ისტორიას, რაც თავის დროზე ჩრდილო და სამხრეთ პოლუსების დაპყრობის ტოლფასად მიიჩნიეს. სულ თოთხმეტ ისტორიას გავიხსენებთ. დედამიწაზე სწორედ ამდენი მწვერვალია, რომელთა სიმაღლე 8000 მეტრს სჭარბობს, თუმცა, ზოგიერთს რამდენიმე თავი აქვს და ბევრ მათგანზე ადამიანს ჯერ ფეხი არ შეუდგამს. თითოეულმა ბუმბერაზმა მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ მთამსვლელები მაინც ჯიუტად მიიწევენ მათკენ „იმიტომ, რომ ისინი არსებობენ".

# წმინდა ადგილი

## შიშა პანგმა



ცენტრალური ჰიმალაი ჩრდილოეთიდან. მარცხნიდან ლჰოცზე და ჯომოლუნგმა, ცენტრში ჩო-ოიუ, მარჯვნივ შიშ. პანგმა

ამქვეყნად ბევრი რამაა სანახავი. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ალბათ, ჰიმალაია. თუმცა, კაცია და გუნებაო. და მაინც, რაც უნდა იყოს, ჰიმალაი ხომ იქ იწყება, სადაც მთავრდება დანარჩენი მთები. დედამიწის იმ 14 მწვერვალიდან, რომლებიც 8000 მეტრზე მაღალია, 10 სწორედ ჰიმალაიზეა თავმოყრილი. ამიტომაც არის, რომ ნეპალის სამეფოს ავიაკომპანიას ჰყავს უამრავი კლიენტი, რომლებიც მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოდიან, რათა ჰიმალას თავზე მთელი ორი საათი 54-ადგილიანი თვითმფრინავით ისეირნონ.

ორი საათი არადა, რამდენიმე წლის წინათ 40 წუთი კი თვითმფრინავით ვიფრინეთ ცენტრალური [illegible]ლაის გასხერივ. მაშინ ჩვენი [illegible] ადგრლიანი თვითმფრინავით მაღალმთიან სოფელ ლუკლასკენ მივფრინავდით, რათა მერე დედამიწის უმაღლესი მწვერვალის მისადგომებამდე საქარავნო გზას დავდგომოდით.

მაშინ, იმ ორმოციოდე წუთში, ოცი მეტნაკლებად ცნობილი მწვერვალი ვნახეთ, მათ შორის ბუმბერაზთა შორის ბუმბერაზი „რვაათასიანებიცა" და მათზე არანაკლებ ზღაპრული სილამაზის „შვიდიათასიანები" და „ექვსიათასიანებიც". საოცრად ლურჯი ცის კაბადონზე ერთი ფთილა ღრუბელიც არ ჩანდა. ბრდღვიალა მზის სხივებში მობანავე მწვერვალები თვალისმომჭრელად ელვარებდნენ. მათ შორის ცენტრალური ჰიმალაის განაპირას, შორს, ჩრდილოეთით იყო შიშაპანგმაც, რომელიც დიდხანს „რვათაასიანებში" ყველაზე ტანმორჩილად მიაჩნდათ, მაგრამ კარგად რომ გაზომეს, 33 მეტრი წაუმატეს, სიმაღლეში 8046 მეტრამდე „გაზარდეს" და ბოლოდან მეორე ადგილზე მიუჩინეს ადგილი.

შიშა პანგმა თავისი თანატოლი მწვერვალებისაგან საკმაოდ დაშორებულია და განმარტოებით დგას. მის ირგვლივ მხოლოდ „ექვსიათასიანებია" შემოჯარული და ამიტომ შიშაპანგმა, ეს ისედაც გოლიათი მწვერვალი, მათ ამაყად გადმოჰყურებს.

დავინახეთ ჩო ოიუც (8189 მ), რომელიც დედამიწის უმაღლეს მწვერვალთა რიგში სიმაღლით მერვეა და მას მთამსვლელები ამ გოლიათთაგან ყველაზე იოლად დასამორჩილებელ პიკად მიჩნევენ, თუკი, საერთოდ, იოლი შეიძლება იყოს „რვაათასიანზე" ასვლა.

აღმოსავლეთით გამოჩნდა კიდევ ერთი ბუმბერაზი — მაკალუ (8475 მ) — სიმაღლით მეხუთე მწვერვალი. იმის იქით გვეგულებოდა ჰიმალაის კიდევ ერთი გიგანტი — კანჩენჯანღა (8585), რომლის მწვერვალზეც ნეპალ-ინდოეთ-სიკჰიმის საზღვარი გადის, მაგრამ ამასობაში ჩვენმა თვითმფრინავმა ლუკლასთან მკვეთრად „დაყვინთა" და ზვიად ხუთთავა ბუმბერაზს თვალი ველარ მოვკარით.

მაგრამ რამ გაგვახსენა მაინცდამაინც ეს პიკები იმ გადაჯაჭვულ მწვერვალთა რიგიდან? — უბრალოდ შარშან და წლეულს ამ მწვერვალებზე პირველასვლიდან „მრგვალი" თარიღები შესრულებულა და სრულდება. ასეთ დროს კი ისტორიას იხსენებენ. ჩვენც გავიხსენოთ მათზე პირველასვლები. არც სიმაღლით მეორე ჩოგორი (8611 მ) დავივიწყოთ, რომელიც ჩო-ოიუსი არ იყოს, 1954 წელს დანებდა ადამიანებს, შიშა პანგმამ კი ამ მხრივ შეუბლალავად ყველაზე დიდხანს — 1964 წლამდე გასძლო.

რაკი შიშა პანგმას თვითმფრინავიდან პირველს მოვკარით თვალი, [illegible]დით თხრობაც ამ მწვერვალზე პირველასვლით დავიწყოთ, მით უმეტეს, რომ იგი ისედაც დიდხანს მთამსვლელთა უყურადღებობით იყო დაჩაგრული. ევეც არ იყოს, შიშა პანგმა ერთადერთი „რვაათასიანია", რომელზე ასვლითაც ერთდროულად ორ ქართველ მთამსვლელს შეუძლია მოიწონოს თავი.

წინათ ეს მწვერვალი უფრო თავისი სანსკრიტული სახელით იყო ცნობილი და მას უწოდებდნენ გოსაინტანს, რაც „წმინდა ადგილს" ნიშნავს. ეტყობა ეს დასახელება მომდინარეობს მწვერვალის რაიონში, 4500 მეტრის სიმაღლეზე მდებარე წმინდა ტბის სახელიდან, სადაც ხშირად დადიან მლოცველები.

აი, მწვერვალის ტიბეტური სახელი — შიშა პანგმა — კი აქამდე დაუზუსტებელია, უფრო სწორედ დღემდე ვერ დაუდგენიათ რას ნიშნავს „შიშა", ხოლო „პანგმა" ითარგმნება როგორც მდელო, საძოვრები. ვარაუდობენ, რომ შიშა პანგმა ასე უნდა ითარგმნოს „მთა, რომლის ძირშიც კარგი საძოვრებია".

შიშა პანგმა მთამსვლელთათვის ცნობილი გახდა მხოლოდ 1950 წელს, როცა შვეიცარიელმა გეოლოგმა ტონი ჰაგენმა თვითმფრინავიდან ამ მწვერვალის პირველი ფოტოები გადაიღო და უმალ ალპინისტურ პრესაში გამოაქვეყნა, მაგრამ ყველაზე პატარა „რვაათასიან" მწვერვალად ცნობილმა პიკმა მთამსვლელთა ყურადღებბა ვერ მიიპყრო. სხვებზე შეუპოვარი აღმოჩნდა ისევ თავად ჰაგენი, რომელიც შერპ აილასთან ერთად 1952 წელს ჩრდილოეთიდან მყინვარ ლანგტრაგზე 6 000 მეტრის სიმაღლემდე ავიდა და ახლოდან დაზვერა მწვერვალის მისადგომები, თან ფოტოსურათებიც გადაიღო და მდიდარი ჩანახატებითაც დაბრუნდა.

ორი წლის მერე შვეიცარიელმა აუფშნაიდერმა სამ ალპინისტთან ერთად სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მწვერვალის მისადგომები დაზვერა და ასასვლელი მარშრუტიც შეიგულა.

1963 წელს იმავე მიზნებით მწვერვალის ფერდობებზე ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ახლა ჩინელები გამოჩნდნენ და 7160 მეტრამდეც ავიდნენ, მომდევნო წელს კი გადამწყვეტი იერიში განიზრახეს.

მართლაც, ჩინელები უშველებელი 200-კაციანი ექსპედიციით 1964 წელს კვლავ იმავე ფერდობს მიადგნენ. მათ ჯერ ჯომოლუნგმაზე, მერე მუზტაგატაზე ასვლებისაგან საკმაო გამოცდილება ჰქონდათ, მაგრამ ჩინელთა ნინსვლას უამინდობა და მწვერვალის სირთულე მაინც აფერხებდა. ერთი თვის განმავლობაში მათ 7700 მეტრ სიმაღლემდე ააღწიეს და გზად ექვსი საშუალედო ბანაკი მოაწყვეს.

ბოლო ბანაკიდან, სადაც უჩვეულოდ ბევრმა, 24 მთამსვლელმა მოიყარა თავი, მწვერვალამდე 300 მეტრიღა რჩებოდა. 2 მაისს, დილის 4 საათზე მოიერიშე ჯგუფი ვანგ ფოხოუს, სონამ დორჯეს, ჩენ სანის, ჩანგ ჩუნეინის, მიმარ ტრაშის, ჩანგ ტენლიანის, ტონტანის, დორჯეს, კსიზანგის, ვუ თზუნგის შემადგენლობითა და ხსუ ჩინგის მეთაურობით გადამწყვეტ იერიშზე საამ ჯგუფად გავიდნენ. წინ 50-გრადუსიანი დახრილობის ყინულის ფერდობი აზიდულიყო. იქ, ყინულის კედელზე თოკი დაკიდეს, მაგრამ მოულოდნელად ვანგ ფოხოუს ყინულზე ფეხი დაუსხლტა და ელვის უსწრაფესად ჩასრიალდა. საბედნიეროდ, ერთ თოკში ჩაბმულმა მეგობრებმა მისი მტკიცე დაცვა მოაწყვეს და 20 მეტრის სრიალის მერე დაამუხრუჭეს. ამას მთამსვლელთა გუნება-განწყობილება ოდნავაც არ გაუფუჭებია და კვლავ შეუპოვრად გააგრძელეს გზა. ჰიმალაის კვალობაზე ჩინებული ამინდი იდგა და ეს მათ სტიმულს აძლევდათ.

მალე ყინული თოვლიანმა ფერდობმა შეცვალა. ამსვლელებს სულ უფრო და უფრო უჭირდათ სუნთქვა. ჟანგბადის ნაკლებობის გამო წყლიდან ამოყრილი თევზებივით სუნთქავდნენ. რაც უფრო ზემოთ მიიწევდნენ, მით უფრო ხშირად ფორთხვაზე გადადიოდნენ, მერე თოვლში ილაჯგაწყვეტილები ეყრებოდნენ, ოდნავ სულს ითქვამდნენ, მაგრამ ასეთი შესვენებები მხოლოდ რამდენიმე მეტრის გავლის ენერგიას აძლევდათ.

აი, მათ ბოლო შესვენებიდან კიდევ 50 მეტრით აიწიეს ზემოთ, „გზა" მცირე დაქანების თოვლიან თხემზე გავიდა და ათიოდე მეტრში მწვერვალის უმაღლესი წერტილიც გამოჩნდა, მაგრამ ალპინისტები იმდენად იყვნენ ქანცგაწყვეტილნი, რომ იქამდე მისასვლელად კიდევ ერთი შესვენება დასჭირდათ, თანაც აქ უკვე ძლიერი ქარი ქროდა.

მერე იყო კიდევ რამდენიმე ნაბიჯი, ფეხქვეშმოქცეული შიშა პანგმა და ათი გახარებული მთამსვლელი.

ამით დასრულდა ბოლო „რვაათასიანი" მწვერვალის დალაშქვრის ისტორია. მაშინ დილის 8 საათი და 20 წუთი იყო. მთამსვლელებმა ასვლისთანავე ძირითად ბანაკთან რადიოკავშირი დაამყარეს და თავიანთი გამარჯვების ამბავი ამცნეს. მწვერვალის იმ ერთი ციდა ფართობზე მთამსვლელები ვერ ეტეოდნენ, მიუხედავად ამისა იქ ერთი საათი დაჰყვეს და აუარება ფოტოები გადაიღეს. ამასობაში ქარი უფრო გაძლიერდა და წამში 25 მეტრს მიაღწია. ეს უკვე სახიფათო იყო და დაშვება დაიწყეს. ჩამოსვლისას მიმარ ტრაში მოწყდა და თან ორი მეგობარიც გადაიყოლა. თოვლიან ფერდობზე სამივემ 100-მეტრამდე „იფრინა", მაგრამ სალსალამათნი გადარჩნენ. ნაშუადღევს ყველამ ბოლო საიერიშო, ორი დღის მერე კი ძირითად ბანაკში ჩააღწია.

ასე დასრულდა ეს გრანდიოზული ექსპედიცია.

ამის მერე შიშა პანგმაზე დიდხანს აღარავინ გამოჩენილა. 70-იანი წლების ბოლოდან კი მთამსვლელებმა კანტი-კუნტად დაიწყეს ასვლა, ხოლო 80-იანი წლების დასასრულიდან, შეიძლება ითქვას, მათი შემოსევის ხანა . დადგა.

შიშა პანგმაზე ამსვლელთა შორის ორი ქართველი მთამსვლელიც არის. 1992 წლის შემოდგომაზე მწვერვალის მისადგომებთან საერთაშორისო ექსპედიციის წევრებმა მოიყარეს თავი. მათ შორის იყო ალპინიზმისა და მეკლდეურობის ევრაზიის ასოციაციის გუნდიც, რომელიც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მთამსვლელობით დაკომპლექტდა. გუნდში თბილისელი გია თორთლაძე და ქუთაისელი მერაბ ნემსიწვერიძეც იყვნენ.

7355 მეტრ სიმაღლეზე მდებარე ბოლო საიერიშო ბანაკიდან ჩვენმა მთამსვლელებმა სამ იაპონელთან ერთად შეუტიეს მწვერვალს. ისინი ჟანგბადის ბალონების გარეშე მიდიოდნენ. ქშენა-ქშენით ყოველი 10-15 მეტრის გავლის მერე ისვენებდნენ და [illegible] სუნთქავდნენ. ერთხანს ასე ტატით ერთად იარეს. მერე იაპონელები რაციით თავიანთ საბაზო ბანაკს დაუკავშირდნენ. ქვემოთ მათ კოსმოსური კავშირის აპარატურა ჰქონდათ და იქიდან ყველანაირ ინფორმაციას ღებულობდნენ. როცა საბაზოსთან საუბრობდნენ, უცებ სახეზე პირკატა ეცათ და ჰორიზონტს გახედეს. მერე შეშფოთებულებმა ქართველებს ანიშნეს, ქვემოდან გვაცნობეს, რომ მალე ქარიშხალი ამოვარდება და არიქა თავს ვუშველოთო. გიამ და მერაბმა ჰორიზონტს თვალი მოავლეს, მაგრამ სახიფათო ვერაფერი დაინახეს. იფიქრეს, აქამდე რის ვაივაგლახით ამოვსულვართ და იერიშზე უარი როგორ ვთქვათო. იაპონელებსაც ურჩიეს, ხომ არ გადარეულხართ, ზემოთ წავიდეთო. იმათ ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, ხელით ანიშნეს, თქვენ ჭკუაზე აღარ ხართ, მაგრამ რახან არ იშლით, კისერიც გიტეხიათ, ჩვენ კი ქვემოთ დავეშვებითო. ასეც მოიქცნენ.

იაპონელებმა მშვიდობით ჩააღწიეს, ქართველებმაც მშვიდობიანად ააღწიეს მწვერვალს. იქ ისეთი ძლიერი ქარი დახვდათ, რომ მთამსვლელები ლამის მწვერვალიდან გადმოყარა. დაშვება რომ დაიწყეს, მწვერვალმა თავს უარესი ქარაშოტი დაიტეხა. ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, სულ თოვლის კორიანტელი დააყენა და აღარაფერი ჩანდა. ამიტომაც ჩვენი მთამსვლელები დიდი გაჭირვებით დაეშვნენ.

იაპონელებმა მათი გამარჯვების ამბავი რომ გაიგეს, სულ თავში ირტყეს ხელი, ეს რა ვქენით, რატომ არ დაგიჯერეთ და მწვერვალზე რატომ არ გამოგყევითო.

იმ შემოდგომაზე შიშა პანგზე ესპანელთა ათი მთამსვლელიდან ხუთმა მიზანს მიაღწია. ფრანგებსაც ათი კაცი ჰყავდათ, მაგრამ მხოლოდ ერთმა შესძლო ასვლა, კორეელთაგან კი ორნი ავიდნენ, ხოლო შვეიცარიე[illegible].

„ევრაზიის" გუნდში ცხრანი კვნენ, მათ შორის ერთი ქალი [illegible] მწვერვალზე ყველა ავიდა. მათგან შიშა პანგმა ყველაზე სწრაფად ბოლო ბანაკიდან ქართველებმა დალაშქრეს. მათ დაახლოებით შვიდასი მეტრის გავლას ოთხსაათნახევარი მოანდომეს.

რაც შეეხებათ იაპონელებს, ისინი „წმინდა ადგილზე" სხვა „რვაათასიანზე" — ჩო-ოიუზე ასვლის მერე გადმოვიდნენ. შიშა პანგმაზე მათ ორი უშედეგო ცდა ჰქონდათ, ხოლო რით დამთავრდა მათი მესამე ცდა, ჩვენთვის ჯერ უცნობია.

და ბოლოს ასეთი საინტერესო ინფორმაციაც — იმ შემოდგომამდე შიშა პანგმაზე 51 ექსპედიცია მოეწყო. მათგან მიზანს 28 გუნდმა მიაღწია. მწვერვალზე 144 მთამსვლელი ავიდა. იმ შემოდგომას კი მათ გვარებს ორი ქართველისაც დაემატა.

ავთანდილ გურასაშვილი



მერაბ ნემსიწვერიძე და გია თორთლაძე შიშ. პანგმას ერთ-ერთ საშუალედო ბანაკში



შიშა პანგმას ფერდობზე

# „ფლინდერს პარკული“ დღიური (დასასრული)

ორშაბათი, 23 იანვარი

სატურნირო ბადის ქვედა ნახევრიდან ერთბაშად სამი განთესილი გავარდა. ანდრე აგასის (2) სამად-სამჯერ შეემალა ავსტრალიელ პატრიკ რაფტერთან. ამერიკელმა 85 წუთში გაიმარჯვა 6:3, 6;4, 6:0. მეოთხედფინალში მისი მეტოქე იქნება სოჭელი ევგენი კაფელნიკოვი, ვინაც 6:1, 6:4, 6:2 მოუგო ამერიკელ ტოდ მარტინს (8). პოლანდიელმა იაკოვ ელტინგმა ხუთ ხელში (ბოლოში 6:4) აჯობა პატ მაკინროუს, ასევე ამერიკელმა აარონ კრიკსტინმა კი ასევე ხუთ ხელში — შვედ სტეფან ედბერგს (6). ქალთა შეჯიბრში ნაიოკო სავამაცუმ (იაპონია) 6:4, 7:5 დაამარცხა მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ). მექსიკელმა ანხელიკა გავალდონმა კი 7:5, 6:0 — ჩეხი იანა ნოვოტნა (4).

სამშაბათი, 24 იანვარი

გაჩაღდა მეოთხედფინალები. ბადის ზედა ნახევარში მაიკ ჩანგმა (აშშ, 5) 7:6, 7:5, 6:3 მოუგო ანდრეი მედვედევს (უკრაინა, 13), პიტ სამპრასი (აშშ, 1) და ჯიმ კურიე (აშშ,9) კი მე-14-ედ შეებნენ ერთმანეთს. წინა მატჩებიდან სამპრასს 10 მოეგო. პირველი ორი ხელი ავსტრალიის შარშანდელმა ჩემპიონმა კურიემ თაი-ბრეიქით მოიგო (7-4 და 7-3) მერე სამპრასმა იმარჯვა 6:3, 6:4, 6:3. თამაში ნაშუალამევს დასრულდა. წინადღით პიტის მწვრთნელი თიმ გალიქსონი შინ გაემგზავრა, ვინაიდან გულმა ამ ერთხელაც შეაწუხა. ავსტრალიის შარშანდელი ჩემპიონი მოძლეარს გამოეტირა და დააბარა, ჩემზე ნუ იდარდებო. ამ დღეს პიტმა ზედიზედ მეორედ მოიგო მატჩი, რომელსაც ერთი პირობა 0-2 აგებდა.

ქალთა მეოთხედფინალში ფრანგმა მარი პირსმა დაამარცხა ბელორუსი ნატაშა ზვერევა 6:1, 6:4, ესპანელმა კონჩიტა მარტინესმა კი — ამერიკელი ლინდსი დავენპორტი 2-1 (ბოლო ხელში 6:3). დიდი გამოხმაურება მოყვა პირველსავე წრეში გავარდნილი ბორის ბეკერის განცხადებას, გერმანიის ჩოგბურთის ფედერაციას მოეურიგდი და თებერვალში ხორვატიის წინაალმდეგ დევისის თასზე ვითამაშებო. სხვადასხვა ორიგინალური მოსაზრების გამო ბეკერი 1992 წლის შემდეგ გერმანიის გუნდში ალარ თამაშობდა.

ოთხშაბათი, 25 იანვარი

აგასის ვერც კაფელნიკოვი (10) გაუძალიანდა და 83 წუთში დამარცხდა 2:6, 5:7, 0:6. არადა, მეტოქენი აქამდე ერთადერთჯერ შეხვედროდნენ ერთმანეთს — შარშან, მონტე-კარლოში, და რუსს მოეგო. ბოლო მეოთხედფინალში კრიკსტინმა 19 ქულა უშუალოდ მოწოდებით მოიგო („ეისი“ გაახერხა) და ელტინგი 7:6, 6:4, 5:7, 6:4 დაამარცხა. ამრიგად, ვაჟთა ნახევარფინალში ოთხივე ამერიკელი გავიდა, რაც აშშ-ის 1979 წლის პირველობის შემდეგ დიდი სლემის ტურნირებში პირველად მოხდა.

გამოვლინდნენ ქალთა ბოლო ნახევარფინალისტებიც: სავამაცუს წინსვლა შეაჩერა სანჩეს-ვიკარიომ (1) 6:1, 6:3, გავალდონი კი დაამარცხა განუთესელმა ამერიკელმა, მანამდე საბატინის მძლეველმა მარიან ვერდლ-ვიტმაიერმა 6:1, 6:2. მარიანი დიდი სლემის ტურნირებში პირველად ალმოჩნდა ნახევარფინალში. რაც შეეხება ბეკერს, მან ქოში უკუ პყარა და განაცხადა, რომ ხორვატიასთან მაინც არ ითამაშებს.

ხუთშაბათი, 26 იანვარი

ქალთა ორივე ნახევარფინალი ფარსი გამოდგა. სანჩეს-ვიკარიო ფინალში ისე გავიდა, რომ განთესილებს არც შეხვედრია. ესპანელმა ქალმა ორ ხელში დაამარცხა ვერდლ-ვიტმაიერი. ასევე თამაშ-თამაშ, ორ ხელში სძლია პირსმა მარტინესს. გაიმართა ვაჟთა პირველი ნახევარფინალიც. ჩანგმა სამპრასს ეისებით 20-13 აჯობა, პირველი ხელი თაიბრეიქით 8-6 მოუგო, მაგრამ ჩემპიონმა ისევ მოიკრიბა ნებისყოფა და ზედიზედ მოიგო სამი ხელი 6:3, 6:4, 6:4.



ყმაწვილქალმა მარი პირსმა პირველი დიდი ტიტული მოიპოვა

პარასკევი, 27 იანვარი

კრიკსტინი პროფესიონალი კარგა ხანი კია, მაგრამ ბედი არასოდეს სწყალობდა, ვინაიდან ხშირად შავდებოდა. ახლაც, აგასის ისე შეება, რომ ორთავე კუნთი სტკიოდა. შუა თამაშში რომ იყვნენ, აარონს ჯერ თეძო ეტკინა, მერე კი ბარძაყი. საქმეს ვერც მტკივან ადგილთა გაყინვამ უშველა და მესამე ხელში კრიკსტინი დანებდა აგასის 4:6, 4:6, 0:3. ის იყო, კრიკსტინი კოჭლობით გავიდა კორტიდან, რომ ტროპიკულად გაწვიმდა და მიუხედავად იმისა, რომ მთავარ მოედანს ჭერი იფარავს, მდინარე იარას მხრიდან მოვარდნილმა თქეშმა და ნიაღვარმა კორტი მთლად დატბორა. ამის გამო აგასის პრეს-კონფერენციაზე შეუნიშნავს, შარშან მე და სამპრასმა ღირსსახსოვარი თამაშები გაემართეთ პარიზსა და ფრანკფურტში; კვირასაც დიდებულ ფინალს ელოდეთ; ერთი ნატვრა მაქვს, კორტი როგორმე გაშრესო. აგასიმ ისე მიაღწია ფინალს, რომ 6 თამაშში ერთი ხელიც არ წააგია.

გაიმართა ქალ წყვილთა ფინალიც. წვიმის გამო მატჩი რამდენჯერმე შეწყდა, მაგრამ მაინც კარგი სანახავი ყოფილა. პირველ ნომრებად განთესილებმა ზვერევამ და ჯიჯი ფერნანდესმა (აშშ) 6:3, 6:7, 6:4 დაამარცხეს სანჩეს-ვიკარიო — ნოვოტნას წყვილი. არადა, დამარცხებულნი „ერთი ერთზე“ ბევრად სჯობიან მძლეველებს.

შაბათი, 28 იანვარი

კანადაში დაბადებული 20 წლის მარი პირსი პირველად გახდა დიდი სლემის შეჯიბრების ჩემპიონი. ამჯერად მან რევანში აიღო შარშან, საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში სანჩეს-ვიკარიოსთან 4:6, 4:6 წაგებისათვის და პირველ ნომრად განთესილ ესპანელს 6:3, 6:2 მოუგო. ამ გამარჯვებით პირსი მსოფლიო კლასიფიკაციაში მესამე ნომრად ალზევდა, სანჩეს-ვიკარიოს კი კიდევ ერთი კვირა მოუწევს ცდა, ვიდრე პირველ ნომრად შეცვლიდეს გერმანელ შტეფი გრაფს, რომელსაც მელბურნში ტრავმის გამო არ უასპარეზია. უკვე ერთი წელი ყოფილა, რაც პირსს ნიკ ბოლეტიერი ავარჯიშებს. ავსტრალიის ღია პირველობის მოგებისთვის ფრანგ ქალს ჯილდოდ 360 ათასი დოლარი [illegible]

ვაჟ წყვილთა ფინალში მე-13 ნომერმა, იარიდ პამერ (აშშ) — რიჩი რენებერგის (აშშ) წყვილმა 6:3, 3:6, 6:3, 6:2 დაამარცხა მარკ ნოულზ (ბაჰამა) — დევიდ ნესტორის (კანადა) დუეტი.



აგასიმ კი მესამედ მოიგო „დიდი სლემის“ ტურნირი

კვირა, 29 იანვარი

ამ ბოლო დროს სპორტში ყველაფერს იარლიყად სანატრელსა და საოცნებოს (DREAM) ანებებენ. ამ ყაიდაზე მონათლეს სამპრას (1) — აგასის (2) ფინალიც, რომელიც აგასიმ 4:6, 6:1, 7:6, 6:4 მოიგო. გადამწყვეტი გამოდგა მესამე ხელი, რომლის თაი-ბრეიქსაც სამპრასი 6-4 იგებდა, მაგრამ მერე ზედიზედ ოთხი ბურთი წააგო. მეოთხე ხელში ანგარიში ერთი პირობა 4:4 იყო, მერე აგასამ მეტოქის მოწოდება მოიგო, მატჩი კი ეისით დაასრულა.

ამრიგად, ანდრე აგასიმ პირველივე ცდით მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა. ეს ტიტული მისთვის დიდი სლემის სათვალავით მესამეა. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, აგასი რომ არა, სამპრასისნაირების ხელში ვაჟთა ჩოგბურთი დიდი ხნის დასამარებული იქნებოდა [illegible] სანახაობა, ანდრე კი [illegible] ხაპედროვე ჩოგბურთის მხსნელიაო!

მიხო ნინუა

ოლიმპიზმი

## 2002 - იუტა
## 2004 - ქეიფთაუნი

24 იანვარს სოკ-მა დაასახელა ის ოთხი ქალაქი, რომელთაგან 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელს აირჩევს. რჩეულთა სიაში ალმოჩნდნენ: აშშ-ის სოლტ-ლეიკ-სითი, შვედეთის ვესტერსუნდი, კანადის კვებეკი და შვეიცარიის სიონი. ამათგან მასპინძელს წელსვე, 16 ივნისს ბუდაპეშტში აირჩევენ სოკ-ის სესიაზე.

- ფავორიტად იუტას შტატის დედაქალაქი სოლტ-ლეიკ-სითი მიიჩნევა, მაგრამ ამ კანდიდატურას ერთი დიდი ნაკლი ჰქონია, სოლტ-ლეიკ-სითში ბევრი მორმონი ცხოვრებულა, ამათ კი ადათი თურმე სმას უკრძალავთ. ჰოდა, ოლიმპიადის მრავალრიცხოვან სტუმრებს ორი კვირის მანძილზე მშრალი კანონის დაცვა მოუწევთ, რაც სოკ-ის აზრით წარმოუდგენელია.

თავდაპირველად პრეტენდენტ ქალაქთა ნუსხაში 9 სახელი ეწერა, მათ შორის სოჭიც; მაგრამ როგორც ავანტიურისტული კანდიდატურა, რუსეთის შავიზღვისპირა მარგალიტი საერთაშორისო ოლიმპიზმის მამებს იმთავითვე დაუწუნებიათ.

2004 წლის ზაფხულის ოლიმპიადის სამასპინძლოდ პრეტენზია ერთბაშად თორმეტ ქალაქს აქვს. მათგან საუკეთესო შანსი ჰქონია ქეიფთაუნს, რომელიც სამხრეთი აფრიკის დასავლეთი პროვინციის ცენტრი, ქვეყნის პარლამენტის ადგილსამყოფელი და ერთობ კოლორიტული, მრავალრასობრივი ქალაქია.

ნიკა კუპატაძე

ამერიკული ბურთაობა

# სუპერ-კვირის რეკორდები



სთივ იანგი

XXIX სუპერბოულმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ეროვნული გაერთიანება ბევრად ძლიერია ამერიკულზე. სხვაფრივ რომ ყოფილიყო, ეროვნული გაერთიანების ჩემპიონები ზედიზედ მეთერთმეტედ ვერ მოიგებდნენ სუპერ-თამაშს, მთელი შტატებისათვის სუპერ-კვირადღედ ცნობილ უქმეზე რომ იმართება.

მაიამის „ჯოურობის“ სტადიონზე მატჩი ჩვენებური დროით ღამის სამ საათზე დაიწყო. ეროვნული გაერთიანების წარმომადგენელმა „სან-ფრანცისკო ფორთინაინერზმა“ თავიდანვე დათრგუნა „ამერიკელთა“ რჩეული „სან-დიეგო ჩარჯერზი“ და საწყის წუთსა და 24 წამში ორი ლელო გაუტანა. არადა, „ბედაურების“ მწვრთნელი ბობი როსი აცხადებდა, დაცვა ძლიერი გვყავსო.

სან-დიეგოელებმა მერე და მერე ხელი კი გამოიღეს, მაგრამ პირველი ნახევარი 10:28 წააგეს. მეორე ნახევარში ორივე გუნდმა მეტად გაილაღა. საბოლოოდ მოიგო „სან-ფრანცისკომ“ 49:26 და პირველმა მთელს ლიგაში მეხუთედ მოიგო სუპერბოული. გამარჯვებულთა ქვორთერბექმა სთივ იანგმა, რომელიც რეგულარული სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ სცნეს, ამ დღეს ექვსი საღელოო პასი შეასრულა, რაც ასევე სუპერბოულის რეკორდი ყოფილა.

თამაშის წინ დიდი ოპერაცია განახორციელა მაიამის პოლიციამ. იქაური „დელფინების“ კუთვნილი 262 ბილეთი ხელთ ქურდებს ჩავარდნოდათ. რეიდების შედეგად წესრიგის ფლორიდელმა დამცველებმა 67 ბილეთს მიაგნეს.

სუპერბოულის პარალელურად მთელი ქვეყნის გულისყურს იპყრობს ძველი მობურთალის, „ბუფალო ბილზის“ რანინგბექის, ოუ-ჯეი სიმფსონის საქმე. ფეხბურთელთა ბოლო მსოფლიო პირველობის გახსნის დღეს 95 მილიონი ტელემაყურებელი შესწრო ლტოლვილი სიმფსონის დევნასა და დაპატიმრებას. ბებერ ვარსკვლავს მეორე ცოლის — ნიკოლ ბრაუნ-სიმფსონისა და მისი საყვარლის — რონალდ გოლდმანის მოკვლა ბრალდება. გამოძიებამ სიმფსონის ბინაში იარაღს ვერ მიაგნო, მაგრამ დეზოქსირიბონუკლეინური ტესტებით ძველი მობურთალი დაადანაშაულა. საქმის განხილვა სამშაბათს, 24 იანვარს დაიწყო ლოს-ანჯელესში. ბრალდებულის ვექილებმა მტკიცე პროტესტი გამოთქვეს, აქაოდა ჩვენი საწყისი განცხადება პირდაპირი ეთერით რატომ გადაეცით, ანაც სიმფსონის სახე ახლო პლანით რატომ აჩვენეთო. საყოველთაო აზრით, საქმე გაჯანჯლდება და ნახევარ წელს გასტანს. ვარაუდობენ, რომ სიმფსონს გაამართლებენ.

ვალერი ჯიქია



სიმფსონი და ბრაუნ-სიმფსონი

# შეურიგებელნი: რაგბი და ლიგა

ერთ თვეში ავსტრალიაში შემოდგომა დადგება. დაიწყება ყველა ყაიდის ბურთაობის სეზონი.

პროფესიული, 13-კაციანი, ე.წ. ლიგის რაგბისთვის 1995 წელი საიუბილეო — მეასეა. თითქოს ამას მიუძღვნესო, მსოფლიო მასშტაბით უპირველესი სალიგო შეჯიბრება, „სერია ა"-ს, ნბა-ს ანაც ნჰლ-ის ბადალი რომაა, და „ვინფილდის თასი" რომ ჰქვია, ლიგის მეთხეებმა საგრძნობლად განავრცეს ახალი კლუბების შექმნით.

ახალი გუნდებს მოთამაშეებიც დასჭირდათ და ლიგელებმაც უმალ ნაცადი ხერხი გამოიყენეს — მორაგბეების გადაბირება დაიწყეს. თვალი, რა თქმა უნდა, ახლო-მახლო მოავლეს და ზღვისრეთელებს მიდგნენ.

ფიჯი რაგბის წლევანდელ მსოფლიო თასზე ვერ მოხვდა, რამაც სარფიანი კონტრაქტებით ფიჯელთა გულის მოგება გაადვილა. ტონგელები და სამოელები, რომლებიც სამხრეთ აფრიკაში სასპარეზოდ გაცხოველებით ემზადებიან, ცხადია, ანკესს უფრო ძნელად ეგებიან. იგივე ითქმის ზელანდიელებზეც, რომლებსაც შინ საკუთარი ლიგა ბარემ 90 წელია რაცა აქვთ, მაგრამ ავსტრალიელებმა ახლა თავიანთი კლუბი — „ოკლენდელი მეომრები" დაუარსეს.

ამ ორი თვის წინ ზელანდიელი თიმუ და სამოელი კოკო რომ ცდუნდნენ და „ვინფილდს" მიეყიდნენ, რაგბის ქომაგებმა თავი იმით ინუგეშეს, ეგენი მსოფლიო თასზე თხუთმეტეულში ვერ ხვდებოდნენ და თავის გამოსაჩენად ლიგაში ამის გამო გაიქცნენო.

27 იანვრის ცნობამ ეს მოსაზრებაც გააბათილა: სამოას 23 წლის მარჯვენა გარემარბმა ბრაიან ლიმამ ჰამწლიან, 200 ათას დოლარად შეფასებულ კონტრაქტზე მოუწერა ხელი „ჩრდილოეთ სიდნეის". არადა, ლიმამ ჯერ კიდევ 1991 წლის მსოფლიო თასზე ისახელა თავი, მერეც ერთთავად ნაკრების ლიდერი იყო, შარშან კი ლომის წილი დაიდო ოკლენდისა და უელსის ძლევაში: პირველს ერთი ლელო გაუტანა, მეორეს — ორი.

## ცდომილი მოიკვეთოს!

დღესაც ამ აზრს ადგას სარაგბო კანონმდებლობის ყველაზე ფარისევლური კარი, ე.წ. მოყვარულობის კანონები.

ამ კანონების თანახმად, მორაგბეს მოყვარულის სტატუსი ჩამოერთმევა და რაგბის თამაში აეკრძალება ორ შემთხვევაში:

ერთი, თუ ფულს ან ძღვენს რაგბის მამათა თვალთაგან ლაფარულად, უნებართვოდ აიღებს, და მეორე, თუ ითამაშებს ან ივარჯიშებს „სხვა ყაიდის არასამოყვარულო რაგბში". არადა, ბრჭყალებში ჩასმული თამაში სხვა არაფერია, თუ არ პროფესიული ლიგის რაგბი.

პირველი აკრძალვა თანდათან რბილდება. ნაკრების მოთამაშეებს უკვე სისტემატურად უხდიან კვების, მგზავრობის, გართობის ფულს და ყოველდღიური სამუშაოს გაცდენის გამო დაკარგულ შემოსავალსაც უნაზღაურებენ. საქმე უფრო შორსაც მიდის: რაგბის კავშირები და ქომაგთა გაერთიანებები ქმნიან ტრასტებს, საიდანაც ნაკრების წევრები წელიწადში გვარიან გასამრჯელოს იღებენ. თუმცა, ეს ფული ჯერაც ბარემ ხუთჯერ ნაკლებია თანხაზე, ლიგაში გადასვლის გამო რომ ერგებათ.

უკვე ხუთი წელია, რაც მორაგბეებს უფლება მიენიჭათ, აიღონ მედიაში გამოსვლებისათვის სარგო ჰონორარი და ნაწარმსაც რეკლამა გაუწიონ. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ კლუბები თავიანთი სპონსორების მეშვეობით მოთამაშეებისთვის ქირაობენ ბინასა და მანქანას და სამსახურსაც შოულობენ. ამგვარი მფარველობა 1970-იან წლებში დაწყებულა: მაშინ



ექს-„ვოლაბი" პაპვორსი

წაღის (ბუცის) მწარმოებელი ცნობილი ფირმები ვარსკვლავებს თურმე ქრთამავდნენ, ამათ მათი ნაწარმი რომ ჩაეცვათ, რაკილა მოყვარულ მორაგბესთან ხელშეკრულებას ოფიციალურად ვერ გააფორმებდნენ.

მას შემდეგ, რაც ჰონორარის აღების აკრძალვა გაუქმდა, დადგა იმათი სრული რეაბილიტაციის დრო, ვინაც ამ მიზეზით მოიკვეთა. შეწყალებულთა შორის აღმოჩნდა ინგლისისა და „ბრიტანელი ლომების" 1980-იანი წლების დამდევის კაპიტანი, მეორეხაზელი ბილ ბომონი (ფოტოზე მუშტი რომ მოუღერებია). ახლანდელი კანონებით ბომონი ნაწილობრივ ყოფილა აღდგენილი: რაკილა თავის დროზე წიგნის გამოცემის შემდეგ ფული აუღია, შეცოდებიდან კი სამ წელზე მეტი გასულა, ბილისთვის ნება დაურთავთ ემწვრთნელა ან ემენეჯერა ოღონ ნაკრების დონეზე ქვემოთ, თამაში და მსაჯობა კი ერთიანად ეკრძალებოდა. ამიერიდან, რაკილა დასჯის მიზეზი დარღვევა აღარაა, ბომონს დიდ რაგბში სრულფასოვნად მონაწილეობა შეეძლება.

## ლიგა კანალიზაციააო!

ლიგელთა მიმართ რაგბის სამყაროს დამოკიდებულება არ იცვლება. ჯერ კიდევ 1930-იან წლებში „ლომების" მეწინავემა ბიმ ბაქსტერმა, ვისაც ოკლენდელმა მასპინძლებმა იქაური ლიგის ასპარეზი — „კარლოუ პარკი" დაათვალიერებინეს, წარბშეუხრელად განაცხადა, საკუთარი კანალიზაცია ყოველ ქალაქს უნდა ჰქონდესო.

ლიგასთან მორაგბეთა შეურიგებლობა ადვილი ასახსნელია. ერთი, რომ ცამეტკაციანი რაგბი ძე ცდომილია. მეორეც, რაგბს დროდადრო საუკეთესო მოთამაშეებს მოსტაცებს და ხელიდან გამოაცლის, ვინაიდან ასეთებს დისკვალიფიკაცია ეძლევათ. რაგბის მამათა აზრით, ლიგაში გადასვლის მნდომთ სასჯელისა რომ არ ეშინოდეთ, საცდურს ლიანგურად მიეტანებიანო.

სარაგბო კანონმდებლობა ლიგაში გადასულებს რომ არც სჯიდეს, გალიგებული მოთამაშეები რაგბისთვის მაინც დაკარგული იქნებიან, ვინაიდან ლიგა თავის შეჯიბრებებს მართავს, თუნდაც ვინმეს სურდეს, ორივეგან — რაგბში და ლიგაში თამაშს უბრალოდ ვერ აუვა.

ამჟამინდელი კანონები ლიგიდან რაგბში დაბრუნებას ზღუდავენ. თუ მოთამაშე რაგბის კავშირს წერილობით შეპფიცავს (!?), რომ ლიგაში მონაწილეობით მატერიალურად არ უხეირია, შეცოდებიდან ერთი წლის თავზე შეეძლება რაგბში სრულფასოვნად დაბრუნება.

ჩვენთვის უცნობია, წარუდგინა თუ არა წერილობითი ფიცი ქუთაისის „ერქვან-გელათმა" საქართველოს რაგბის კავშირს. ალბათ არა, რაკილა ფიცს ჩვენში ალმაცერად უყურებენ. ისე კი, ქუთათურებს პრეტენზიაც გამოუთქვამთ, რუსეთის რაგბის ლიგაში ორგზის (?) გადასვლის გამო რა უფლებით დაგვსაჯეთო.

## სასამართლოში

უფრო რთულადაა იმათი საქმე, ვისზეც ცნობილია, რომ ლიგაში მონაწილეობისთვის ფული აუღია. ამათი აღდგენა ოდენ სამი წლის შემდეგ შეიძლება და ისიც ნაწილობრივ: შეწყალებულნი ვერ ითამაშებენ და ვერც იმსაჯებენ.

ამ აკრძალვას არ შეპუებიან ავსტრალიელი ბრეტ პაპვორსი და ზელანდიელი ბრეტ ითი. პირველი „ვოლაბთა" გამოჩენილი შუამარბი იყო 1987 წლის მსოფლიო თასზე, მეორე კი — ახალი ზელანდიის მკვიდრთა ნაკრების — „მაორების", ნახევარმცველი.

როგორც ირკვევა, ლიგაში ორივეს მოსცარვია ხელი და რაგბში მოთამაშედ დაბრუნება სურს. მიზნის მისაღწევად ორივეს სასამართლოში უჩივლია, მოყვარულობის კანონები საქმიანობის თავისუფლად არჩევის პრინციპს ეწინააღმდეგებაო.

ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის რაგბის კავშირებს რჩევა უკითხავთ იურისტებისთვის. ამათაც ურჩევიათ ნაღდად მოგიგებენ საქმეს და შეგარცხვენენო. ჰოდა, რაგბის მამებსაც რაღა დარჩენოდათ: თავად დაურღვევიათ კანონი და პაპვორსიცა და ითიც მოთამაშეებად მყის აღუდგენიათ, ოღონდაც პროვინციულ დონეზე, რაც მათ თავიანთი ქვეყნების ნაკრებებში თამაშს უკრძალავს.

საქმე ამით არ დასრულებულა. მოყვარულობის კანონთა შემოქმედ რაგბის საერთაშორისო საბჭოს მარცხი უღიარებია და წელს, მარტში, აღდგენის კრიტერიუმებისა და პროცედურის გადასინჯვას აპირებს. გარდა ამისა, საბჭოსაც მიუმართავს იურისტებისთვის, ნეტავი იმ ხალხის დასჯა თუ ხელგვეწიფება, ვინაც კანონებს არღვევს ისეთი თამაშით, მთლად რაგბი რომ ვერაა, მაგრამ ძალიან კი ჰგავსო.

## ვინ აჯობებს?

საერთაშორისო საბჭოს ბოლო შეჭირვების მიზეზი ავსტრალიელთა წინადადება ყოფილა. მავანნი თურმე აპირებენ ისეთი საქველმოქმედო შეხვედრის მოწყობას, რომელშიც მორაგბე ვარსკვლავთა გუნდი ლიგელ ვარსკვლავთა გუნდს შეეჯიბრება. თამაშის ერთი ნახევარი რაგბის, მეორე კი — ლიგის წესებით გაიმართება.

საბჭომ ავსტრალიელებს ცივი უარი სტკიცა, ლიგასთან ამგვარი ურთიერთობაც კი აკრძალულია მოყვარულობის კანონებითო. ეს გადაწყვეტილება ლიგას მეტად შეაგულიანებდა სატრაბახოდ, აქაოდა მორაგბეებს ეშინიათ, რომ ლიგის წესებითაც მოვუგებთ და კავშირისითაცო.

არადა, ამგვარი თამაშები წარსულში მართლაც გამართულა. მეორე მსოფლიო ომის დროს ბრიტანეთში მთლად რომ არ ჩამკვდარიყო სპორტული ცხოვრება, ინგლისის რაგბის კავშირს დროებით ამნისტია გამოუცხადებია პროფესიონალებისათვის. ჰოდა, პროფესიონალთა და მოყვარულთა ნაკრებებს ორი თამაში გაუმართავთ სამოყვარულო რაგბის წესებით. შედეგს აღარ იკითხავთ? ორივე ლიგელ პროფესიონალებს მოუგიათ: 1943 წელს, ლიდსში 18:11 და 1944 წელს, ბრედფორდში 15:10.

ამგვარი პარადოქსი (თუკი პარადოქსია) ადვილი ასახსნელია. 50 წლის წინ რაგბის ორივე ნაირსახეობა ჯერაც ერთობ წაავგავდა ერთიმეორეს და ჭეშმარიტი პროფესიონალებიც, რა გასაკვირია, რომ აჯობებდნენ ალალ მოყვარულებს.

დღეს კი ვითარება სულ სხვაგვარია: „მოყვარული" მორაგბეები, მით უფრო — ავსტრალიელები, პროფესიონალებზე მე-



ბილ ბომონი მალე სისხლსავსე მოღვაწეობაში ჩაებმება

ტად პროფესიონალები არიან. ლიგა და რაგბიც ისე დაშორდნენ ერთმანეთს, რომ ლიგაში გადასულ მორაგბეებს საადაპტაციოდ კარგა გვარიანი პერიოდი სჭირდებათ.

მავანმა შეიძლება ამტკიცოს, რომ მორაგბეები წააგებენ ლიგის წესებით, რაკილა მარტოკაცთა ომს შეუჩვეველი არიან. მაშინ მთლად წარმოუდგენელია, როგორ ითამაშებენ ლიგელები გუნდურ რაგბს, რას იზამენ მოლში, რაქში, ანაც როგორ მოიგებენ ლერეფანს. არადა, ლერეფნის მოუგებლად ლიგელები ხომ მთლად უბურთოდ დარჩებიან, რის გამოც წასაგებად იქნებიან განწირული.

**ყაფლან ჯანდიერი,**
უცნაურ თამაშობათა ექსპერტი,
საგანგებოდ „სარბიელისთვის"

ავტოსპორტი

# რალისტებმა დაიწყეს

ფორმულა-1-ისა არ იყოს, წელს აეტორალებშიც დააწესეს შეზღუდვები: ზედა ზღვარი დაუწესდა ძრავის სიმძლავრეს და საბურავების გამოცვლაც ძველებურადვე ველარ შეიძლება. ეს სიახლეები ამოქმედდა რალისტთა წლევანდელი მსოფლიო პირველობის პირველ სტადიაზე — მონტე-კარლოს რალში, რომელიც 23-26 იანვარს გაიმართა.

რალის განმაელობაში ორად-ორი ეკიპაჟი ლიდერობდა. პირველ დღეს 6 სპეციალური ეტაპის შემდეგ „სუბარუს" მძღოლი, ესპანელი კარლოს საინსი დაწინაურდა. მას 44 წამით ჩამორჩებოდა „ფორდით" მოასპარეზე ფრანგი ფრანსუა დელაკური.

8 ეტაპის შემდეგ სხვაობა 9 წამამდე შემცირდა, 10-ის შემდეგ კი უკვე ფრანგი დაწინაურდა 26 წამით. მესამე ადგილს ინარჩუნებდა ფინელი მაკინენის „მიცუბისი", მერე კი ორი „ტოიოტა" მოდიოდა: ამათ ფინელი იუჰა კანკუნენი და ფრანგი დიდიე ორიოლი მართავდნენ.

სულ 22 ეტაპი უნდა გამართულიყო. 15-ის შემდეგ წინ ისევ საინსი გაიჭრა; დელაკური მას 12 წამით ჩამორჩა, ორიოლი კი კიდევ 3 წუთით. რალის ბოლოს საინსმა უკეთ იასპარეზა ჩქაროსნულ ეტაპებზე და სხვაობა 2 წუთამდე და 25 წამამდე გაზარდა. მესამე ადგილზე გასული კანკუნენი გამარჯვებულს



თითქმის 4 წუთით ჩამორჩა.

საინსმა მონტე-კარლოს შემოგარენში მეორედ გაიმარჯვა. გაისად ესა და ბრიტანეთის სამეფო ავტოკლუბის რალები აღარ ჩაითვლებიან მსოფლიო ჩემპიონატის ანგარიშში, რაც კიდევ ერთი, ოღონდაც საეჭვო ლირსების სიახლეა.

**ფორმულა-1-ში** მოასპარეზე „მაკლარენმა" ერთ პილოტად ფინელი მიკა ჰაკინენი დაასახელა. ხმა დაირხა, ფირმა ინდიკარიდან დაბრუნებულ, მაგრამ „უილიამსის" მიერ დაწუნებულ ნაიჯელ მენსელს უპირებს აყვანასო.

„მაკლერენის" შეფს რონ დენისს ეს ცნობა არ უარუყვია. ამბობენ, მენსელს 10 მილიონ გირვანქას სთავაზობენო. „მაკლარენს" მეორე პილოტად მარტინ ბრანდლი შეეგულებინა, მაგრამ ამან 25 იანვარს ვაჟკაცურად დაუთმო ადგილი მენსელს, თვითონ კი დაყაბულდა ფრანგულ „ლიჟიეში" საწყისი სამი-ოთხი ეტაპის მანძილზე სათადარიგოდ იყვეს. „ლიჟიეს" ძირითადი დუეტი ასეთია: ოლივიე პანისი — აგური სუძუკი.

## აქეთური, იქითური

პაკისტანელ მოკრიკეტეებს აქამდე უნიკალური მიღწევა ეკუთვნოდათ: ტესტის მოთამაშე ყველა სხვა ქვეყანა დაემარცხებინათ ან პირველსავე მატჩში, ანაც პირველსავე სერიაში. ტრადიცია დაირღვა 19-23 იანვრის იოჰანესბურგის „ვორდერერზ გრაუნდზე", სადაც სამხრეთ აფრიკა — პაკისტანის ისტორიული პირველი ტესტი გამართა. სამხრეთმა აფრიკამ სარეკორდოდ დიდი სხვაობით — 324 გარბენით მოიგო: სამხრეთი აფრიკა 460 და 259/7 — პაკისტანი 230 და 165. მართალია, აფრიკელებმა სტუმრებს პირველი შესვლა 200-ზე მეტი გარბენით მოუგეს, რაც მათ უფლებას აძლევდათ, რომ პაკისტანი მეორე შესვლისთვისაც ზოლზე დაეტოვებინათ, მაგრამ ვინაიდან „პროთეებს" სამად-სამი მომწოდებელი ჰყავდათ, მათი გადაღლა ველარ გარისკეს და მეორე შესვლა თავად დაიწყეს. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ სცნეს ფანი დევილიერსი ვინაც სტუმრებს ბჭეთა ნახევარი — 10 დაულეწა.

*

პარასკევს კრივის მსოფლიო საბჭო დამუქრებია 47 წლის ჯორჯ ფორმენს, რომ თუ ამა წლის 5 მარტამდე ტიტულს არ დაიცავს ნომერ პირველ პრეტენდენტ თონი თაქერთან შერკინებაში, მსოფლიო ჩემპიონობას ჩამოართმევს. ფორმენს სხვა გეგმები ჰქონია: 22 აპრილს არასაჩემპიონო ბრძოლაში უნდა შეება გერმანელ შულცს. ასოციაციის გარდა ფორმენი კრივის საერთაშორისო ფედერაციის ჩემპიონიცაა მძიმე წონაში.

*

გოლფის ევროპული ტურის პირველი ორი შეჯიბრება მოიგო ამერიკელმა ფრედ კაპლზმა. იანვრის მესამე კვირაში მან დუბაიში გამართულ უდაბნოს კლასიკურ ტურნირში ნორმაზე 20-ით უკეთესი შედეგი აჩვენა და სამი დარტყმით აჯობა შოტლანდიელ მონთგომერის, 4-ით მსოფლიოს პირველ მეგოლფეს, ზიმბაბველ ნიკ პრაისს, 5-ით — პირველნომერყოფილ ავსტრალიელ გრეგ ნორმანს და 6-ით გოლფის ამომავალ ვარსკვლავს, სამხრეთაფრიკელ ერნი ელსს. ამ გამარჯვებისათვის კაპლზმა საპრიზოებისგან სულ რაღაც 75 ათასი დოლარი მიიღო. სამაგიეროდ ერთი კვირის შემდეგ ფილიპინების დედაქალაქ მანილაში ჯონი უოკერის კლასიკური შეჯიბრის მოგებისათვის 100 ათასი მიითვალა. კაპლზმა აქ ნორმაზე 11-ით უკეთესი შედეგი აჩვენა და ორი დარტყმით აჯობა პრაისს, 3-ით ავსტრალიელ რობერტ ალანბის, 4-ით ნორმანს და 6-ით მონთგომერის.

*

ესპანეთში, სიერა-ნევადას მთებში უნდა დაწყებულიყო მოთხილამურეთა მსოფლიო პირველობა, მაგრამ უეცარი დათბობის გამო თოვლი სულმთლად დადნა. მაშინ ორგანიზატორებმა ხელოვნური თოვლი დაამზადეს, მაგრამ იგი წვიმამ ერთიანად გაალხო. პირველობა ჩაიშალა. საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით მისი ცალკეული ნომრები მსოფლიო თასის ეტაპების პარალელურად გაიმართება სეზონის ბოლომდე, სულ სხვადასხვა ადგილას.

*

3 000 და 10 0000 მეტრზე რბენის მსოფლიოს ჩემპიონი, ჩინელი ქალი ვან ჯუნ შა შეურიგდა ცნობილ მწვრთნელ მა ჯუნ რენს, ვისაც ამ ერთი თვის წინ იმის გამო გაებუტა, რომ ფულად ჯილდოებს გვართმევს და ვარჯიშითაც ილაჯს გვიწყვეტავსო. შერიგების მიზეზი ატლანტის ოლიმპიადისათვის ჩინელ სტაიერთა სამზადისი ყოფილა.

*

ჩრდილოეთ ამერიკაში პროფესიული კალათბურთის სეზონი 2 აპრილს იწყება. მიუხედავად ამისა, მოთამაშეთა გაფიცვა კვლავაც გრძელდება. ამ ამბავს ერთობ შეუწუხებია პრეზიდენტი კლინტონი. მას დაუბარებია ფედერალური მომრიგებელი ბილ აშერი და დაუვალებია, მოდავენი ორ კვირაში მოარიგეო. ამასობაში კლუბებს დაუწესებიათ ავადსახსენებელი ჯამაგირის ჭერი და მოთამაშეთა მასობრივი დათხოვნა წამოუწყიათ. ამგვარი კრიზისის მიუხედავად უმთავრესი ლიგები მაინც ერთობ პერსპექტიული ყოფილა, რასაც ადასტურებს თუნდაც ის, რომ გაისად კიდევ 4 ახალი კლუბი შეიქმნება და ორივე ლიგაში ერთად 32 გუნდი იასპარეზებს.

აქეთური, იქითური


სარბიელი
სპორტული გაზეთი
ინდექსი 66441

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29; წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედკოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (ტექნიკური რედაქტორი)
კომერციული დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე, ტექნიკური დირექტორი კოტე იაშვილი